



სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

სოფიო ქონიაშვილი

საბანკო გარანტია, როგორც მოთხოვნის უზრუნველყოფის  
დამოუკიდებელი საშუალება

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია  
სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტზე  
სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: ნუნუ კვანტალიანი  
სამართლის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი  
გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი

გორი

2019

## ანოტაცია

ნაშრომში განხილულია საბანკო გარანტიის, როგორც მოთხოვნის უზრუნველყოფის დამოუკიდებელი საშუალების სამართლებრივი ბუნების თავისებურებანი. მისი გამოყენების აქტუალურობა, რასაც განაპირობებს საბანკო გარანტიის, როგორც მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალების არადოკუმენტარული ხასიათი და ძირითადი ვალდებულებისაგან დამოუკიდებლობის შესაძლებლობა. გაანალიზებულია ის საკანონმდებლო ნორმები, რომლებიც ამ ინსტიტუტს არეგულირებენ საქართველოს სამოქალაქო კოდექსში. გამოკვეთილია ხარვეზები, რომლებსაც საბანკო გარანტიასთან მიმართებაში ზოგიერთი ნორმის შინაარსში ვხვდებით. შემოთავაზებულია ამ ხარვეზების აღმოფხვრის გზები. განხილულია საბანკო გარანტიის არსი, მისი დამოუკიდებელი ბუნება, საგარანტიო თანხის გადახდის მექანიზმის მიხედვით რამდენად დამოუკიდებელია საბანკო გარანტია ძირითადი ვალდებულებისაგან, როგორც პირობითი ასევე უპირობო საბანკო გარანტიის დროს.

### **Annotation**

In the work is discussed peculiarities of the legal nature of the bank guarantee as an independent means of supply of the request. The actuality of its use, which is conditioned by the non-formal character of the bank guarantee as a means of supply of the request and the possibility of independence from the main obligation. It is analyzed the legislative norms, which regulate this institute in the Civil Code of Georgia. There are outlined lacunas, which are found in the content of some norm in relation of the bank guarantee. The ways of eliminating these lacunas are proposed. It is discussed the essence of the bank guarantee, its independent nature, how independent is the bank guarantee from basic obligation according to the mechanism of payment of the warranty amount, during the conditional and unconditional bank guarantee.

## ს ა რ ჩ ე ვ ი

შესავალი -----	5
თავი 1. საბანკო გარანტიის არსი -----	7
1.1. საბანკო გარანტიის ცნება -----	7
1.2. საბანკო გარანტიის მონაწილეები -----	12
1.3. საბანკო გარანტიის შედარება თავდებობასთან, აკრედიტივთან -----	14
1.3.1. საბანკო გარანტია და თავდებობა -----	14
1.3.2. საბანკო გარანტია და აკრედიტივი -----	17
1.4. საბანკო გარანტიის სახეები -----	19
თავი 2. საბანკო გარანტიის დამოუკიდებელი ბუნება -----	21
2.1. საბანკო გარანტიის დამოუკიდებლობა პრინციპალსა და გარანტს შორის უეთიერთობისგან -----	21
2.2. საბანკო გარანტიის დამოუკიდებლობა ძირითადი ვალდებულებისგან -----	25
თავი 3. გადახდის პირობები -----	31
3.1. გადახდა პირველი მოთხოვნისთანავე -----	33
3.2. გადახდა მესამე პირის მიერ გაცემული დოკუმენტის საფუძველზე -----	40
3.3. გადახდა სასამართლო ან საარბიტრაჟო გადაწყვეტილების საფუძველზე -----	42
თავი 4. საბანკო გარანტიის ძალაში შესვლა , მოქმედების ფარგლები და შეწყვეტა -----	43
4.1. საბანკო გარანტიის ძალაში შესვლა -----	43
4.2. საბანკო გარანტიის მოქმედების ფარგლები -----	46
4.3. საბანკო გარანტიის შეწყვეტა -----	50
დასკვნა -----	51
გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა -----	54

## შესავალი

საბანკო გარანტია კომერციულ ურთიერთობებში კრედიტის უზრუნველყოფის ერთ-ერთი საიმედო და გავრცელებული საშუალებაა.<sup>1</sup> საბანკო გარანტიის ინსტიტუტი ფართოდ გამოიყენება, როგორც საერთაშორისო სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობებში, ასევე, ქვეყნის საზღვრებს შიგნით. იგი უკავშირდება, როგორც ფულადი, ისე არაფულადი ვალდებულების შესრულებას.<sup>2</sup> საბანკო გარანტიის, როგორც ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის საშუალების პოპულარობა განპირობებულია რამდენიმე ფაქტორით: 1. საბანკო გარანტია ქმნის გარანტისაგან დაკმაყოფილების დაუყოვნებლივ მიღების შესაძლებლობას; 2. გირაოსა და იპოთეკისაგან განსხვავებით საბანკო გარანტიის გაფორმება უფრო მარტივად ხდება და ნაკლებ ხარჯებთანაა დაკავშირებული; 3. თავდებობისაგან განსხვავებით იგი არ არის მოთხოვნის უზრუნველყოფის აქცესორული საშუალება. საბანკო გარანტია დამოუკიდებელი ხასიათის აბსტრაქტული დაპირებაა, რომლის შესრულება არ არის დამოკიდებული ძირითად ვალდებულებაზე. 4. საბანკო გარანტიებს იძლევიან ფინანსურად ძლიერი სტრუქტურები, რომლებიც საიმედობის მაღალ ხარისხს ქმნიან.<sup>3</sup>

დღესდღეობით შეიძლება ითქვას, რომ საბანკო გარანტიების გამოყენების გარეშე აღარ ხდება არც ერთი ცოტად თუ ბევრად მნიშვნელოვანი ეკონომიკური პროექტის განხორციელება საერთაშორისო თუ შიდა სახელმწიფოებრივ დონეზე. გარანტიების გამოყენება განსაკუთრებით ხშირია ინფრასტრუქტურულ, მსხვილ სავაჭრო და სახელმწიფო შესყიდვების ოპერაციებში. სამწუხაროდ ქართული სამეურნეო სუბიექტები და მეწარმეები ძალზედ ცუდად ერკვევიან ამ ინსტრუმენტის ბუნებასა და მოქმედების მექანიზმებში, ზოგჯერ ვერც აცნობიერებენ თუ რა შედეგები შეიძლება

---

<sup>1</sup>ლიპარტია ნ., საბანკო გარანტიის სამართლებრივი ბუნების მიმოხილვა დამოუკიდებლობისა და „ზუსტი შესაბამისობის“ პრინციპებთან მიმართებით, სამართლის ჟურნალი, #2, 2017, 36.

<sup>2</sup>ჭანტურია ლ., კრედიტის უზრუნველყოფის სამართალი, თბილისი, 2012, 204.

<sup>3</sup>შენგელია რ., შენგელია ე., საბანკო სამართლის საფუძვლები, თბილისი, 2014, 440.

მოყვეს მის არასწორ გამოყენებას და ხშირად ვერ ახერხებენ მისგან სასურველი ეფექტის მიღებას.<sup>4</sup>

საბანკო გარანტიებთან დაკავშირებული საკითხები მოწესრიგებულია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 21-ე თავის მე-5 ქვეთავით (879-890 მუხლებით), რომლის სახელწოდებაა „საბანკო გარანტია“. აღნიშნული ნორმები თავის დროზე შემუშავებულ იქნა საერთაშორისო სამართლის იმ ნორმების საფუძველზე, რომელიც ოთხმოცდაათიან წლებში მოქმედებდა.<sup>5</sup>

საბანკო გარანტიის ინსტიტუტი ფართოდ გამოიყენება მსოფლიო ქვეყნების სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობებში. მისი დანერგვა ამერიკის შეერთებულ შტატებში დაიწყო, თუმცა დღეს მთელი მსოფლიოს მამტაბით აქტიურად გამოიყენება. სახელმწიფოს მიერ მიღებული სამართლებრივი ნორმების გარდა, მისი რეგულირება ხორციელდება საერთაშორისო სავაჭრო პალატის მიერ მიღებული უნიფიცირებული წესებისა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სავაჭრო კომისიის „დამოუკიდებელი გარანტიებისა და სარეზერვო აკრედიტივების შესახებ“ კონვენციის საფუძველზე. რაც უდავოდ მიუთითებს ამ პროდუქტის მნიშვნელობასა და გამოყენების ინტენსივობაზე. მრავალგვარი რეგულაციების მიუხედავად, საბანკო გარანტია რთული სამართლებრივი ბუნებით გამოირჩევა და მისგან გამომდინარე მოთხოვნის სწორი მართვა საკმაოდ ბევრ პრობლემას წარმოშობს.<sup>6</sup>

ნაშრომში განხილული და გაანალიზებულია სამოქალაქო კოდექსის შესაბამისი მუხლები საბანკო გარანტიასთან დაკავშირებით, თუ რა ხარვეზები არსებობს, რა გარემოებები ქმნის ბუნდოვანებას, რომლის საფუძველზედაც არსებობს არაერთგვაროვანი განმარტების შესაძლებლობა. რეალურად რამდენად დამოუკიდებელია საქართველოში საგარანტიო ვალდებულება ძირითადი ვალდებულებისაგან. განხილულია საბანკო გარანტიის არსი, საბანკო გარანტიის დამოუკიდებელი ბუნება, საგარანტიო თანხის გადახდის მექანიზმი, პირობები, საბანკო

<sup>4</sup> ჭიპაშვილი ნ., სადისერტაციო ნაშრომი „საბანკო გარანტია საქართველოს კანონმდებლობისა და საერთაშორისო უნიფიცირებული წესების მიხედვით“, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი, 2015 წელი, 2.

<sup>5</sup> ხოტენაშვილი პ., სადისერტაციო ნაშრომი „საბანკო გარანტიათა სამართლებრივი ასპექტები“, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2015 წელი, 5.

<sup>6</sup> ლიპარტია ნ., საბანკო გარანტიის სამართლებრივი ბუნების მიმოხილვა დამოუკიდებლობისა და „ზუსტი შესაბამისობის“ პრინციპებთან მიმართებით, სამართლის ჟურნალი, #2, 2017, 39.

გარანტიის მოქმედების ფარგლები და ვადა. ასევე გაანალიზებულია სასამართლო პრაქტიკა საგარანტიო ურთიერთობებთან დაკავშირებით.

სამაგისტრო ნაშრომში გამოყენებულია დოგმატურ სამართლებრივი, შედარებითი, ისტორიული და ლოგიკური ანალიზის კვლევის მეთოდები.

სამაგისტრო ნაშრომი შედგება 56 გვერდის, შესავლის, 4 თავის, 13 პარაგრაფის და დასკვნისაგან. ნაშრომს დართული აქვს გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა.

პირველი თავი ეხება საბანკო გარანტიის არსს. მეორე თავში განხილულია საბანკო გარანტიის დამოუკიდებელი ბუნება. მესამე თავში გაანალიზებულია გადახდის პირობები და მასთან დაკავშირებული პრობლემები. მეოთხე თავი ეხება საბანკო გარანტიის მოქმედების ფარგლებს და ვადას.

## **თავი 1. საბანკო გარანტიის არსი**

### **1.1. საბანკო გარანტიის ცნება**

საბაზრო მეურნეობის პირობებში საბანკო გარანტია მიჩნეულია ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის ეფექტურ საშუალებად და ერთ-ერთ ყველაზე მოთხოვნად საბანკო პროდუქტად. მოთხოვნის უზრუნველყოფის საკითხი აქტუალურია მას შემდეგ, რაც ადამიანს სხვა ინდივიდების მიმართ მოთხოვნის უფლებები წარმოეშვა და მათი სამართლებრივი დაცვის გზების ძებნა დაიწყო. ჯერ კიდევ მე-6 საუკუნეში, რომის სამართალი საბანკო გარანტიას „receptum argentarii“-ის სახელით იცნობდა და გარანტად „argentarius“-ი, მყარი ფინანსური შესაძლებლობის ბანკირი გვევლინებოდა. გარანტის რომაული მოდელი „receptum argentarii“ წარმოადგენდა შეთანხმებას

ბანკირს (argentarius) და კლიენტს შორის, რომლითაც ბანკირი იღებდა ვალდებულებას კლიენტის წინაშე, რომ გაისტუმრებდა მის ვალდებულებას მესამე პირის მიმართ.<sup>7</sup>

საბანკო გარანტიები საერთაშორისო კომერციის პროდუქტია, მათი წარმოშობა და განვითარება საერთაშორისო კომერციასა და მის საბანკო მომსახურებას უკავშირდება. დამოუკიდებელი საბანკო გარანტიის ცნება არ არსებობდა ჯერ კიდევ მე-20 საუკუნის პირველ ნახევარში. იგი მე-20 საუკუნის 60-იანი წლებიდან ჩამოყალიბდა და პირველად გამოჩნდა ამერიკის შიდა ბაზარზე 60-იანი წლების შუა ხანებში, მაგრამ ბანკირთა მონაცემებით შესამჩნევი ადგილი საერთაშორისო საბანკო ოპერაციებში დაიკავეს 70-იანი წლების დასაწყისში.<sup>8</sup>

საბანკო გარანტიების გამოყენება ფართოდაა გავრცელებული არა მარტო საერთაშორისო კომერციულ ურთიერთობებში, არამედ ეროვნული კერძო სამართლებრივი კანონმდებლობის მოქმედების არეალშიც.<sup>9</sup> ქართულ სამართალში გარანტიები განიხილებოდა და განიხილება, როგორც ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის ერთ-ერთი საშუალება. გარანტიები ამ ხარისხში სამოქალაქო სამართლისთვის დიდი ხანია ცნობილია და ასეთი სახით იყვნენ ისინი წარმოდგენილნი საბჭოთა პერიოდის ქართულ კანონმდებლობაში.<sup>10</sup> საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 184-ე მიხედვით გარანტიით შეიძლება უზრუნველყოფილიყო შესრულება ვალდებულებების სოციალისტურ ორგანიზაციებს შორის.<sup>11</sup> აღნიშნული კოდექსის 205-ე მუხლით განსაზღვრული იყო გარანტიის ცნება, რომლის მიხედვითაც გარანტიად მიიჩნეოდა კანონით ან ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულება, რომლის ძალითაც მოვალე ორგანიზაციის ზემდგომი ორგანო პასუხს აგებდა მისი კრედიტორი ორგანიზაციების წინაშე მთელი ვალდებულების ან მისი ნაწილის შეუსრულებლობისათვის ან ვალდებულების

<sup>7</sup>BankingandbusinessintheRomanWorldByJeanAndreau, CambridgeUniversityPress, 1999, page 43, ნაშრომიდან: ათაბეგაშვილი დ., სადისერტაციო ნაშრომი „საგარანტიო ვალდებულების დამოუკიდებლობის ხარისხი და მისი პირობითობის დამტკიცების მიზანშეწონილობა“, 2018 წელი, ნიუ ვიქენ უნივერსიტეტის სამართლის სკოლა, 2018 წელი, 17.

<sup>8</sup> ხოტენაშვილი პ., სადისერტაციო ნაშრომი „საბანკო გარანტიათა სამართლებრივი ასპექტები“, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2015 წელი, 8.

<sup>9</sup>შენგელია რ., შენგელია ე., საბანკო სამართლის საფუძვლები, თბილისი, 2014, 440.

<sup>10</sup>საბანკო გარანტიათა სამართლებრივი ასპექტები, პაატა ხოტენაშვილი, 2015 წელი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, დისერტაცია, 8.

<sup>11</sup>საქართველოს სსრ სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 184. (ძალადაკარგულია)



არაჯეროვნად შესრულებისათვის. გარანტიით უზრუნველყოფილი ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში გარანტიის მიმცემის (გარანტის) ქონებრივი პასუხისმგებლობა დამატებითი პასუხისმგებლობა იყო და ასევე საგარანტიო ურთიერთობებზე ვრცელდებოდა თავდებობის ნორმები. შესაბამისად გარანტია ფაქტიურად თავდებობის სახესხვაობას წარმოადგენდა და მათ შორის მხოლოდ ის განსხვავება იყო, რომ გარანტად ქონებრივ ურთიერთობებში შეიძლება გამოსულიყო მხოლოდ ამა თუ იმ ორგანიზაციის ზემდგომი ორგანო, იმ დროს, როდესაც თავდებად გამოსვლის უფლება გააჩნდა ნებისმიერ პირს.<sup>12</sup>

ახალმა სამოქალაქო კოდექსმა თავდებობასა და გარანტიას შორის ურთიერთ მიმართება საფუძვლიანად შეცვალა და აქცესორული გარანტიის საპირისპიროდ შემოიტანა საბანკო ანუ დამოუკიდებელი გარანტიის სრულიად განსხვავებული ინსტიტუტი, თუმცა იგი კვლავ რჩება ვალდებულების უზრუნველყოფის ერთ-ერთ ყველაზე ქმედით ინსტრუმენტად.<sup>13</sup>

სამოქალაქო კოდექსის 879-ე მუხლით განსაზღვრულია საბანკო გარანტიის ცნება, რომლის თანახმადაც „საბანკო გარანტიის ძალით ბანკი, სხვა საკრედიტო დაწესებულება ან სადაზღვევო ორგანიზაცია (გარანტი) სხვა პირის (პეინციპალის ) თხოვნით კისრულობა წერილობით ვალდებულებას, რომ ნაკისრი ვალდებულების შესაბამისად გადაუხდის პრინციპალის კრედიტორს (ბენეფიციარს) ფულად თანხას გადახდის შესახებ ბენეფიციარის წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე.“<sup>14</sup>

საბანკო გარანტიის მსგავსი, თუმცა უფრო ვრცელი, განმარტება მოცემულია საერთაშორისო სავაჭრო პალატის (ICC) მიერ შემუშავებული სახელშეკრულებო გარანტიის უნიფიცირებულ წესებში (Uniform Rules for Demand Guarantees (URDG #458)). ამ წესების მიზნებისთვის საბანკო გარანტია (შემდგომში - „გარანტია“) ნიშნავს ნებისმიერ გარანტიას , ან გადახდის შესახებ შეტყობინებას, რომელიც გაცემულია ბანკის, სადაზღვევო კომპანიის ან სხვა პირის მიერ (შემდგომში - „გარანტი“), რომელიც კისრულობს გადახდის ვალდებულებას წერილობითი მოთხოვნის წარდგენის (მაგალითად: არქიტექტურის ან საინჟინრო სერტიფიკატი, საარბიტრაჟო ან სასამართლო

<sup>12</sup>საქართველოს სსრ სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 197, მუხლი 205. (ძალადაკარგულია)

<sup>13</sup>ჭანტურია ლ., კრედიტის უზრუნველყოფის სამართალი, თბილისი, 2012, 204-205.

<sup>14</sup>საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 879. (2018 წლის 25 მარტის მდგომარეობით) იხ. <https://matsne.gov.ge> [20.05.2019] შემდგომში - საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.

გადაწყვეტილება) შემთხვევაში, 1) (I) მხარის თხოვნის ან მოთხოვნის საფუძველზე და მისი პასუხისმგებლობით (შემდგომში - „პრინციპალი“); ან (II) ბანკის, სადაზღვევო კომპანიის ან სხვა პირის თხოვნისა და პასუხისმგებლობით (შემდგომში - „ინსტრუქციის გამცემი მხარე“), რომელიც მოქმედებს პრინციპალის დავალებით სხვა პირის სასარგებლოდ (შემდგომში - „ბენეფიციარი“).<sup>15</sup>

უნიფიცირებული წესების მომდევნო ვერსიაში საბანკო გარანტიის განსაზღვრება უფრო ლაკონურად არის მოცემული. URDG #758-ის მიხედვით, გარანტია ნიშნავს ნებისმიერ ხელმოწერილ ვალდებულებას, მისი ხელმოწერისა და აღწერის მიუხედავად, რაც ითვალისწინებს გადახდას სათანადო მოთხოვნის წარდგენისას.<sup>16</sup>

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სავაჭრო კომისიის მიერ შექმნილი „დამოუკიდებელი გარანტიებისა და რეზერვული აკრედიტივების შესახებ“ კონვენცია შინაარსობრივად აღწერს გარანტიის ურთიერთობას. კონვენციის მე-2 მუხლის მიხედვით „დამოუკიდებელი ვალდებულება, რომელიც ცნობილია საერთაშორისო პრაქტიკისათვის, როგორც საბანკო გარანტია ან რეზერვული აკრედიტივი, და გაცემულია ბანკის, სადაზღვევო კომპანიის, სხვა ინსტიტუტის ან სხვა პირის (გარანტი/ გამცემი) მიერ, ითვალისწინებს ბენეფიციარისთვის ზუსტად ან განსაზღვრული რაოდენობით დადგენილი თანხის გადახდას მარტივი მოთხოვნის ან გარანტიაში მითითებული დოკუმენტების წარდგენის შემთხვევაში, თუ მოთხოვნა შეესაბამება საბანკო გარანტიის პირობებს. (მოთხოვნაში) უნდა აღინიშნოს, რომ გადახდა მოთხოვნილ იქნა პრინციპალის ვალდებულების დარღვევის, ან გაუთვალისწინებელი გარემოებების არსებობის, ვადამოსული მოთხოვნის გამო“<sup>17</sup>

საბანკო გარანტიის ყველა ზემოთ მითითებული დეფინიციისთვის საერთოა შემდეგი გარემოებები: 1) საბანკო გარანტიას, როგორც წესი, გასცემენ ძლიერი ფინანსური რესურსის მქონე პირები, მათ შორის ბანკი და სადაზღვევო კომპანია, თუმცა უნიფიცირებული წესებსა და კონვენციაში აღნიშნულია, რომ იგი შეიძლება გაიცეს ნებისმიერი პირის მიერ. ასეთ შემთხვევაში უნიფიცირებული წესები და გაეროს კონვენცია გარანტიის გამცემ სუბიექტთა წრის განსაზღვრის უფლებამოსილებას

<sup>15</sup> ლიპარტია ნ., საბანკო გარანტიის სამართლებრივი ბუნების მიმოხილვა დამოუკიდებლობისა და „ზუსტი შესაბამისობის“ პრინციპებთან მიმართებით, სამართლის ჟურნალი, #2, 2017, 40.

<sup>16</sup> იქვე, 41.

<sup>17</sup> იქვე

სხვადასხვა ქვეყნის კანონმდებლობას ანიჭებს: 2) გარანტია გაიცემა პრინციპალის თხოვნით ბენეფიციარის წინაშე ნაკისრი ვალდებულების უზრუნველყოფის მიზნით; 3) გარანტი კისრულობს თანხის გადახდას სათანადო მოთხოვნის წარდგენის შემთხვევაში, პრინციპალმა დაარღვია ძირითადი ვალდებულება.<sup>18</sup>

სამოქალაქო კოდექსის 879-ე მუხლიდან გამომდინარეობს, რომ საბანკო გარანტიის შინაარსს უპირველესად წარმოადგენს გარანტის მიერ ბენეფიციარისათვის წინასწარ განსაზღვრული თანხის გადახდის ვალდებულება, რასაც ის საბანკო გარანტიის გაცემით კისრულობს. გარანტის მიერ საბანკო გარანტიის გაცემას წინ უსწრებს შეთანხმება გარანტსა და პრინციპალს შორის. ამ შეთანხმების შემდეგ გარანტი წერილობით გასცემს საბანკო გარანტიას. საბანკო გარანტიის გაცემით დასტურდება გარანტსა და პრინციპალს შორის შეთანხმების (ხელშეკრულების) არსებობა. ბენეფიციარისათვის წინასწარ განსაზღვრული თანხის გადახდის ვალდებულება წარმოიშობა იურიდიული შემაღენლობის საფუძველზე: გარანტსა და პრინციპალს შორის დადებული ხელშეკრულებით და გარანტის ცალმხრივი გარიგებით (საბანკო გარანტიის გაცემით).<sup>19</sup>

საბანკო გარანტიის ცნების მნიშვნელოვანი ელემენტია ის, რომ გარანტი ვალდებულებას კისრულობს არა საკუთარი ინიციატივით, არამედ მოვალესთან (პრინციპალთან) დადებული ხელშეკრულების საფუძველზე, რისთვისაც გარანტი სათანადო ანაზღაურებას იღებს. ამით აიხსნება გარანტის მიერ საკუთარ თავზე დიდი რისკის აღება. რაც შეეხება მოვალის (პრინციპალის) ვალდებულებას გარანტის წინაშე, მის მიმართ შეიძლება გამოყენებულ იქნეს უზრუნველყოფის ტრადიციული საშუალებები, მაგ: იპოთეკა, თავდებობა და ა. შ.<sup>20</sup>

ამრიგად, საბანკო გარანტიის დროს გარანტიის მიმღები (კრედიტორი, ბენეფიციარი) ელოდება მესამე პირისგან (პრინციპალისგან) კონკრეტული შესრულების მიღებას,

<sup>18</sup> ლიპარტია ნ., საბანკო გარანტიის სამართლებრივი ბუნების მიმოხილვა დამოუკიდებლობისა და „ზუსტი შესაბამისობის“ პრინციპებთან მიმართებით, სამართლის ჟურნალი, #2, 2017, 41.

<sup>19</sup> ახვლედიანი ზ., ვალდებულებითი სამართალი, თბილისი, 1999, 237.

<sup>20</sup> ჭანტურია ლ., კრედიტის უზრუნველყოფის სამართალი, თბილისი, 2012, 206.

ხოლო გარანტი იღებს გარანტიას იმისათვის, რომ კრედიტორი (ბენეფიციარი) ამ შესრულებას მიიღებს.<sup>21</sup>

თავისი შინაარსით საბანკო გარანტია თავად წარმოადგენს ვალდებულებას, რომლის მიზანია ბენეფიციარს და პრინციპალს შორის არსებული ძირითადი ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფა.<sup>22</sup>

## 1.2. საბანკო გარანტიის მონაწილეები

საქართველოში საბანკო გარანტია ვალდებულების შესრულების საკმაოდ გავრცელებული შუალებია. სსკ-ის 879-ე მუხლის თანახმად, იგი ფულადი ვალდებულებაა, რომლის შესრულებასაც პრინციპალის თხოვნით გარანტი წერილობით კისრულობს ბენეფიციარის წინაშე ბენეფიციარის მხრიდან ფულად თანხის გადახდის შესახებ წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე. მისი თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ პრინციპალის მიერ ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში გარანტს პრინციპალის ნაცვლად ვალდებულების შესრულება კი არ ეკისრება ბენეფიციარისწინაშე, არამედ მხოლოდ გარანტიით გათვალისწინებული თანხის გადახდა. როგორც ნორმის დანაწესიდან ჩანს, საბანკო გარანტიის ვალდებულების მონაწილეები არიან: გარანტი, პრინციპალი და ბენეფიციარი.<sup>23</sup>

თუმცა არსებობს განსხვავებული მოსაზრებაც საბანკო გარანტიის მონაწილეთა შესახებ, რომლის თანახმად საბანკო გარანტიის ვალდებულების მონაწილენი არიან გარანტი და პრინციპალი.<sup>24</sup>

879-ე მუხლის თანახმად გარანტის როლში შეიძლება გამოვიდნენ როგორც ბანკი და სადაზღვევო კომპანიები ასევე სხვა საკრედიტო დაწესებულებები. ამდენად სხვა პირებს

---

<sup>21</sup> Weber. Kreditsicherungsrecht , S. 131, წიგნიდან: ჭანტურია ლ., კრედიტის უზრუნველყოფის სამართალი, თბილისი, 2012, 207.

<sup>22</sup> ჭანტურია ლ., ზოიძე ბ., ნინიძე თ., შენგელია რ., ხეცურიანი ჯ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეოთხე, ტომი II, თბილისი, 2001, 207.

<sup>23</sup> ძლიერიშვილი ზ., ცერცვაძე გ., რობაქიძე ი., სვანაძე გ., ცერცვაძე ლ., ჯანაშია ლ., სახელშეკრულებო სამართალი, თბილისი, 2014, 568.

<sup>24</sup> ჭანტურია ლ., ზოიძე ბ., ნინიძე თ., შენგელია რ., ხეცურიანი ჯ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეოთხე, ტომი II, თბილისი, 2001, 216.

გარანტად გამოსვლის უფლება არა აქვთ.<sup>25</sup> უნდა აღინიშნოს, რომ გაეროს კონვენცია და URDG #758 არ განიხილავენ საბანკო გარანტიების გაცემას - როგორც სპეციალური უფლებამოსილების მქონე პირთა ( ბანკები, საკრედიტო დაწესებულებები და სადაზღვევო ორგანიზაციები) პრეროგატივას ( URDG #758 მე-2 მუხლი). თითქმის ანალოგიური ფორმულირებაა ჩადებული გაეროს კონვენციის მე-2 მუხლში, რომლის შესაბამისად გარანტად შეიძლება გამოვიდეს „ ბანკი, სხვა დაწესებულება ან პირი“ . კონვენცია არ ზღუდავს იმ პირთა წრეს , ვინც გარანტად შეიძლება გამოვიდეს.<sup>26</sup>

საერთაშორისო კონვენციებისა და შეთანხმებების თანახმად, საბანკო გარანტია შეიძლება გაიცეს ბანკის, სადაზღვევო ორგანიზაციის ან სხვა მესამე პირის მიერ. აგრეთვე საქართველოს კანონმდებლობისგან გაქნსხვავებით , უნიფიცირებული წესების თანახმად , გარანტი შეიძლება იყოს ფიზიკური და იურიდიული პირიც.<sup>27</sup>

როგორც აღინიშნა, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით , საბანკო გარანტიის გაცემის უფლება აქვს: ა) კომერციულ ბანკს; ბ) სადაზღვევო ორგანიზაციას; გ) საკრედიტო დაწესებულებას. საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, ზემო აღნიშნული სამივე სუბიექტი საჭიროებს საქმიანობის ლიცენზირებას და საქართველოს ეროვნული ბანკის მხრიდან განიცდის ზედამხედველობას.<sup>28</sup>

რაც შეეხება ბანკებსა და სხვა საკრედიტო დაწესებულებებს, მათთვის საბანკო გარანტიის გაცემა წარმოადგენს საქმიანობის ერთ-ერთ მიმართულებას, ერთ-ერთ საბანკო პროდუქტსა და შემოსავლის წყაროს.<sup>29</sup>

საქართველოს კანონი კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ ჩამოთვლის საქმიანობის იმ სახეებს, რომლის განხორციელების უფლებაც გააჩნია კომერციულ ბანკს. აღნიშნული კანონი ერთ-ერთი საქმიანობის სახედ ასახელებს საბანკო გარანტიების გაცემას.<sup>30</sup>

---

<sup>25</sup>საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 879.

<sup>26</sup> ჭიკაშვილი ნ., სადისერტაციო ნაშრომი „საბანკო გარანტია საქართველოს კანონმდებლობისა და საერთაშორისო უნიფიცირებული წესების მიხედვით“, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი, 2015 წელი, 96.

<sup>27</sup>გაბისონია ზ., საბანკო სამართალი, თბილისი, 2015, 235.

<sup>28</sup>იქვე, 237.

<sup>29</sup>გაბისონია ზ., საბანკო სამართალი, თბილისი, 2015, 236.

<sup>30</sup>საქართველოს კანონი კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ, მე-20 მუხლის 1-ელი პუნქტის ბ ქვეპუნქტი (2019 წლის 8 მაისის მდგომარეობით) იხ. <https://matsne.gov.ge> [20.05.2019]

საბანკო გარანტიის ვალდებულების ერთ-ერთი მონაწილეა პეინციპალი, რომელიც მოვალეა იმ ძირითად ვალდებულებაში, რომლის უზრუნველსაყოფადაც ბანკი გარანტიას გასცემს. პრინციპალი შეიძლება იყოს, როგორც ფიზიკური ასევე იურიდიული პირი. რაც შეეხება ბენეფიციარს, იგი გვევლინება საბანკო გარანტიით უზრუნველყოფილი ძირითადი ვალდებულებისა და თავად საბანკო გარანტიის კრედიტორად. პრინციპალის მსგავსად, ბენეფიციარიც შეიძლება როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირი იყოს. საბანკო გარანტია განსაკუთრებით ხელსაყრელი და მიმზიდველია ბენეფიციარისათვის. მნიშვნელოვანი რისკები საბანკო გარანტიიდან ბენეფიციარისთვის არ გამომდინარეობს. საბანკო გარანტიის ვალდებულების სხვა მონაწილეებთან შედარებით მას საკმაოდ ძლიერი სამართლებრივი პოზიცია აქვს.<sup>31</sup>

### **1.3. საბანკო გარანტიის შედარება თავდებობასთან, აკრედიტივთან**

#### **1.3.1. საბანკო გარანტია და თავდებობა**

საბანკო გარანტია და თავდებობა ორივე განეკუთვნება სახელშეკრულებო (პიროვნულ) უზრუნველყოფის საშუალებებს. პიროვნული უზრუნველყოფის ამ საშუალებათა თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ კრედიტორი მოვალის მიმართ არსებულ ძირითად მოთხოვნასთან ერთად, ხელშეკრულების საფუძველზე დამატებით იძენს მოთხოვნას მესამე პირის - თავდების ან გარანტის მიმართ.<sup>32</sup> ორივე შემთხვევაში არც გარანტს და არც თავდებს ბრალი არ მიუძღვით ვალდებულების შეუსრულებლობაში და მაინც კისრულობენ პასუხისმგებლობას სხვისი ბრალისთვის. ერთი შეხედვით მნიშვნელოვანი მსგავსებების მიუხედავად, თავდებობა და საბანკო გარანტია არსებითად განსხვავდებიან ერთმანეთისგან.<sup>33</sup>

საბანკო გარანტია განსხვავებით თავდებობისგან უზრუნველყოფის არააქცესორული საშუალებაა. საბანკო გარანტიის არსებობა არ არის დამოკიდებული ძირითადი ვალდებულების არსებობაზე, თუმცა ფაქტობრივად საბანკო გარანტია ამ

<sup>31</sup>ძლიერიშვილი ზ., ცერცვაძე გ., რობაქიძე ი., სვანაძე გ., ცერცვაძე ლ., ჯანაშია ლ., სახელშეკრულებო სამართალი, თბილისი, 2014, 568.

<sup>32</sup>ძლიერიშვილი ზ., ცერცვაძე გ., რობაქიძე ი., სვანაძე გ., ცერცვაძე ლ., ჯანაშია ლ., სახელშეკრულებო სამართალი, თბილისი, 2014, 542.

<sup>33</sup>ჭანტურია ლ., კრედიტის უზრუნველყოფის სამართალი, თბილისი, 2012, 208.

ვალდებულების უზრუნველსაყოფად არის შეთანხმებული.<sup>34</sup> 881-ე მუხლის თანახმად საბანკო გარანტიით გათვალისწინებული გარანტის ვალდებულება ბენეფიციარის წინაშე არ არის დამოკიდებული იმ ძირითად ვალდებულებაზე, რომლის შესრულების უზრუნველსაყოფადაც არის ის გაცემული, თუნდაც გარანტია შეიცავდეს მითითებას ამ ვალდებულებაზე.<sup>35</sup> თავდებობა თავად არის ხელშეკრულება კრედიტორსა და თავდებს შორის; თავდებობა თავისი ზოგადი სამართლებრივი „ბედიტ“ (წარმოშობა, არსებობა და ა.შ.) მკაცრად დამოკიდებულია ძირითად ვალდებულებაზე.<sup>36</sup> თავდებობა უზრუნველყოფის აქცესორული საშუალებაა და ძირითადი ვალდებულების შეწყვეტა იწვევს თავდებობის შეწყვეტას. ძირითადი ვალდებულების შეწყვეტა კი არ იწვევს საბანკო გარანტიის შეწყვეტას.<sup>37</sup>

გარანტიის დამოუკიდებლობა იმაშიც გამოიხატება, რომ გარანტს არა აქვს პრინციპალის შესაგებლების გამოყენების უფლება ბენეფიციარის მიმართ. თავდებობის დროს კი პირიქით ხდება, თავდებს შეუძლია წამოაყენოს ძირითადი მოვალის კუთვნილი შესაგებლები.<sup>38</sup>

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით თავდებობის ხელშეკრულებით თავდები კისრულობს ვალდებულებას, თავდებად დაუდგეს კრედიტორის წინაშე მესამე პირს ამ უკანასკნელის ვალდებულების შესასრულებლად.<sup>39</sup>

სსკ-ის 879-ე მუხლის შესაბამისად საბანკო გარანტიის ურთიერთობებში გარანტად შეიძლება გამოდიოდნენ მხოლოდ ბანკი, სხვა საკრედიტო დაწესებულება ან სადაზღვევო ორგანიზაცია, იმ დროს როდესაც თავდებად შეიძლება გამოდიოდეს ნებისმიერი ქმედუნარიანი ფიზიკური თუ იურიდიული პირი.

საბანკო გარანტია არც უზრუნველყოფის სუბსიდიური საშუალებაა. გარანტს არ აქვს უფლება ჯერ მოსთხოვოს კრედიტორს მოვალისაგან დაკმაყოფილების მიღება, თვითონ კი მხოლოდ ამის შემდეგ დააკმაყოფილოს კრედიტორი. თავდების

<sup>34</sup>ჭანტურია ლ., კრედიტის უზრუნველყოფის სამართალი, თბილისი, 2012, 208.

<sup>35</sup>საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 881.

<sup>36</sup>კროფჰოლერი ი., გერმანიის სამოქალაქო კოდექსი სასწავლო კომენტარი, თ. დარჯანიასა და ზ. ჭეჭელაშვილის თარგმანი, ე. ჩაჩანიძის თ. დარჯანიას და ლ. თოთლაძის რედაქტორობით, თბილისი, 2014, 565.

<sup>37</sup>ჭანტურია ლ., კრედიტის უზრუნველყოფის სამართალი, თბილისი 2012, 208.

<sup>38</sup>ჭანტურია ლ., კრედიტის უზრუნველყოფის სამართალი, თბილისი, 2012, 209.

<sup>39</sup>საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 891.

მდგომარეობა ამ საკითხში განსხვავებულია: როგორც წესი, მისი პასუხისმგებლობა სუბსიდიურია.<sup>40</sup> კრედიტორს არ შეუძლია თავდების მიმართ მოთხოვნის წარდგენა მანამდე, სანამ იგი ძირითადი მოვალის მიმართ არ განახორციელებს უშედეგო იძულებით აღსრულებას.<sup>41</sup> ასევე გარანტის და პრინციპალის სოლიდარული პასუხისმგებლობა კრედიტორის ( ბენეფიციარის ) წინაშე არ არის გათვალისწინებული, მაშინ როცა თავდები და მოვალე შეიძლება სოლიდარულად იყვნენ პასუხისმგებელი კრედიტორის წინაშე.<sup>42</sup>

საბანკო გარანტია და თავდებობა, ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დამოუკიდებელ, ერთმანეთისაგან განსხვავებულ სახელშეკრულებო მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებებს წარმოადგენენ, რომლებიც სახელშეკრულებო სამართლის სხვადასხვა თავებში არიან განსაზღვრულნი. საბანკო გარანტიასა და თავდებობას შორის არსებული განსხვავებების გამოკვეთა ამგვარად შეიძლება:

1. ხელშეკრულების მხარეები არიან: საბანკო გარანტიაში - გარანტი, პრინციპალი, ბენეფიციარი. თავდებობაში - თავდები, მოვალე, კრედიტორი.
2. გარანტი შეიძლება იყოს - ბანკი, სხვა საკრედიტო ან სადაზღვევო ორგანიზაცია, ხოლო თავდები შეიძლება იყოს ნებისმიერი პირი.
3. საბანკო გარანტიაში ხელშეკრულება იდება პრინციპალსა და გარანტს შორის, თავდებობისას თავდებსა და კრედიტორს შორის.
4. საბანკო გარანტიისას ვალდებულების საგანია ფულადი თანხა, ხოლო თავდებობისას ვალდებულების საგანი ნებისმიერი ქონებაა.
5. გარანტია სასყიდლიანია, თავდებობა კი არის, როგორც სასყიდლიანი ისე უსასყიდლო.
6. საბანკო გარანტია არ არის დამოკიდებული ძირითად ვალდებულებაზე, თავდებობა კი აქცესორული ხასიათისაა.
7. საბანკო გარანტია გაიცემა ნებისმიერი ვადით, თავდებობა კი ვალდებულების შესრულების ვადით.

<sup>40</sup>ჭანტურია ლ., კრედიტის უზრუნველყოფის სამართალი, თბილისი, 2012, 209.

<sup>41</sup>კროფჰოლერი ი. , გერმანიის სამოქალაქო კოდექსი სასწავლო კომენტარი, თ. დარჯანიასა და ზ. ჭეჭელაშვილის თარგმანი, ე. ჩაჩანიძის თ. დარჯანიას და ლ. თოთლაძის რედაქტორობით, თბილისი, 2014, 571.

<sup>42</sup>ჭანტურია ლ., კრედიტის უზრუნველყოფის სამართალი, თბილისი, 2012, 209.



8. ბენეფიციარს არ შეუძლია დათმოს მოთხოვნა, ხოლო თავდებობისას კრედიტორი არ არის შეზღუდული დათმოს მოთხოვნა.

9. საბანკო გარანტიისას გარანტის რეგრესის უფლება დამოკიდებულია პრინციპალთან შეთანხმებაზე, თავდებობაში მოვალის მიმართ რეგრესული მოთხოვნა ყოველთვის სახეზეა.

10. საბანკო გარანტიის უკან გამოთხოვა არ შეიძლება, თუ სხვა რამ არ არის შეთანხმებული საბანკო გარანტიის ხელშეკრულებაში, ხოლო თავდებობის უკან გამოთხოვა დასაშვებია.

11. საბანკო გარანტია აბსტრაქტული ვალდებულებაა, ხოლო თავდებობა კაუზალური ვალდებულებაა.<sup>43</sup>

განხილული განსხვავებებიდან გამომდინარე საქმე ორ სხვადასხვა სამართლებრივ ინსტიტუტთან გვაქვს. თავდებობის ნორმების ანალოგიის წესით გამოყენება საბანკო გარანტიის მიმართ უნდა გამოირიცხოს.<sup>44</sup>

### 1.3.2. საბანკო გარანტია და აკრედიტივი

კომერციულ ურთიერთობებში, განსაკუთრებით კი საერთაშორისო სავაჭრო გარიგებებში, ინტენსიურად გამოიყენება აკრედიტივი, როგორც გადახდის აღიარებული საშუალება.<sup>45</sup>

საქართველს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით აკრედიტივის გახსნით საკრედიტო დაწესებულება (გამხსნელი ბანკი) ვალდებულია, კლიენტის (აკრედიტივის დავალების მიმცემის) თხოვნითა და განკარგულებით, მითითებული დოკუმენტის სანაცვლოდ გადაუხადოს მესამე პირს (რემიტენტს) ამ პირის ბრძანებით ფულადი თანხა, ან გაანაღდოს რემიტენტისაგან გადმოპირებული თამასუქი, მოახდინოს აქცეპტი,

<sup>43</sup> თოდუა მ., ვილემსი ჰ., ვალდებულებითი სამართალი, თბილისი, საია, 2006, 32.

<sup>44</sup> ჭანტურია ლ., კრედიტის უზრუნველყოფის სამართალი, თბილისი, 2012, 210.

<sup>45</sup> იქვე

ანდა დაავალოს სხვა ბანკს ამ ოპერაციის განხორციელება, შესრულდა საკრედიტო პირობები.<sup>46</sup>

დამოუკიდებელ გარანტიებს და აკრედიტივებს გააჩნიათ ბევრი საერთო ნიშან-თვისება ისეთი, როგორცაა კომერციული ხასიათი, სტრუქტურა და მექანიზმი.<sup>47</sup> ასევე მათ შორის არსებობს მთელი რიგი განსხვავებებიც - აკრედიტივი წარმოადგენს თანხის გადახდის საშუალებას და მისი ამოქმედება მოვლენათა ჩვეულებრივი და კანონზომიერი განვითარების შედეგია, იმ დროს, როდესაც გარანტია წარმოადგენს უზრუნველყოფის საშუალებას და გადაიხდება როგორც კომპენსაცია ძირითადი კონტრაქტის შეუსრულებლობისას. პრინციპალისთვის აღნიშნული სხვაობა გადამწყვეტ ხასიათს ატარებს. აკრედიტივის შემთხვევაში, გადახდა მის ინტერესებს შეესაბამება, რადგან იგი მის სანაცვლოდ იღებს იმ საქონელს, რაც მას უნდოდა რომ მიეღო. ამის საპირისპიროდ, ბანკის მიერ საგარანტიო თანხის გადახდა ბენეფიციარის მართებული მოთხოვნის შესაბამისად წარმოშობს პრინციპალის ვალდებულებას აუნაზღაუროს გადახდილი თანხა გარანტს რაიმე სარგებლის მიღების გარეშე. მეორე განსხვავება ის არის, რომ აკრედიტივის შემთხვევაში ბენეფიციარის ანუ გამყიდველის მიერ ბანკში წარდგენილი დოკუმენტები შეეხება თვით საქონელს და გააჩნია თავისთავადი შინაარსი. მაშინ, როდესაც გარანტიის შემთხვევაში წარსადგენი დოკუმენტები (თუკი საერთოდ საჭიროა დოკუმენტების წარდგენა) შეეხება პრინციპალის მიერ საკონტრაქტო ვალდებულების შეუსრულებლობას.<sup>48</sup> აკრედიტივისაგან განსხვავებით, რომელიც გადახდის საშუალებას წარმოადგენს, გარანტიის დანიშნულება უსაფრთხოებაა. ის უზრუნველყოფს ფინანსურ კომპენსაციას მოვალის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობისას.<sup>49</sup>

---

<sup>46</sup>საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 876.

<sup>47</sup>Волков А, Иванов Р, - „Новый вид аккредитива в международных расчётах” „Деньги и кредит, 1963 ст. 78-80, ნაშრომიდან: ხოტენაშვილი პ., სადისერტაციო ნაშრომი „საბანკო გარანტიათა სამართლებრივი ასპექტები“, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2015 წელი, 33.

<sup>48</sup>Dolan J.F. “Weakening the letter of credit product: the new Uniform Customs and Practice for Documentary Credits” IBJL 1994, p. 149-177, ნაშრომიდან: ხოტენაშვილი პ., სადისერტაციო ნაშრომი „საბანკო გარანტიათა სამართლებრივი ასპექტები“, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2015 წელი, 34.

<sup>49</sup>Bertrams R., Bank Guarantees in International Trade., Hague, Kluwer Law International 1196 (second edition) p.2.

## 1.4. საბანკო გარანტიის სახეები

საბანკო გარანტია კომერციული ურთიერთობების მრავალ სფეროში გამოიყენება, რის გამოც მისი კლასიფიკაცია მრავალი ნიშნით შეიძლება. მაგრამ არსებობს საბანკო გარანტიის სტანდარტული ფორმები, რომლებიც ქართული სამართლებრივი პრაქტიკისთვისაც არ არის უცხო.<sup>50</sup>

სატენდერო გარანტიები - ხშირად სამშენებლო კონტრაქტები და კონტრაქტები ამა თუ იმ პროდუქციის მოწოდების შესახებ იდება სატენდერო პროცედურის გამოყენებით. ეს განსაკუთრებით ხშირია სახელმწიფო სექტორში. ხშირად სატენდერო წესები მოითხოვენ, რათა ტენდერში მონაწილეობის მსურველებმა წარმოადგინონ გარანტია, რომლებიც როგორც წესი ითვალისწინებენ ხელშეკრულების 1-დან 5 პროცენტამდე გადახდას. ხშირად ამავე წესებში მოცემულია თვით გარანტიის ტექსტი და მოთხოვნილია, თუ როგორი ფორმით უნდა იქნეს იგი წარმოდგენილი. ძირითადად მოთხოვნილია უპირობო გარანტიების წარდგენა.<sup>51</sup>

სატენდერო გარანტიათა მიზანია უზრუნველყონ, რომ პრეტენდენტმა არ გამოითხოვოს, ანდა შეცვალოს თავისი წინადადება გადაწყვეტილების გამოტანამდე, ხოლო შემდგომში კი ხელი მოაწეროს შემოთავაზებულ კონტრაქტს თუკი იგი აღმოჩნდება ტენდერში გამარჯვებული.<sup>52</sup>

სატენდერო გარანტიების წარდგენას ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ითვალისწინებს კანონი სახელმწიფო შესყიდვების შესახებ.<sup>53</sup>

შესრულების გარანტია - მოვალის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობით წარმოშობილი რისკების უზრუნველყოფას ემსახურება. საბანკო გარანტიების აბსოლუტური უმრავლესობა მოვალის მიერ ნაკისრი ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფას ეხება. ეს ვალდებულებები შეიძლება წარმოიშვას ნებისმიერი

<sup>50</sup>ჭანტურია ლ., კრედიტის უზრუნველყოფის სამართალი, თბილისი, 2012, 231.

<sup>51</sup>ხოტენაშვილი პ., სადისერტაციო ნაშრომი „საბანკო გარანტიათა სამართლებრივი ასპექტები“, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2015 წელი, 66.

<sup>52</sup>იქვე

<sup>53</sup>საქართველოს კანონი სახელმწიფო შესყიდვების შესახებ (2019 წლის 18 აპრილის მდგომარეობით) იხ. <https://matsne.gov.ge> [20.05.2019]

ხელშეკრულებიდან, თუმცა გავრცელებული პრაქტიკაში ნარდობის და სესხის ხელშეკრულებებია.<sup>54</sup>

თანხის დაბრუნების გარანტია - მხარეთა წინასწარი შეთანხმებით, ხშირად ხდება საკონტრაქტო თანხის 5%-დან 30%-მდე საავანსო გადახდა, რათა დააფინანსონ მოსამზადებელი სამუშაოები. ასეთ შემთხვევაში დამკვეთს სჭირდება გარანტია, რომელიც უზრუნველყოფს გადარიცხული საავანსო თანხის დაბრუნებას შემსრულებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში. სწორედ ასეთი ინსტრუმენტია თანხის დაბრუნების ან, როგორც მას სხვანაირად უწოდებენ, წინასწარ გადახდის გარანტიები (advance payment guarantee).<sup>55</sup>

გადახდის გარანტიები - უზრუნველყოფენ ყველა სახეობის ფულადი მოთხოვნების შესრულებას, მიუხედავად მათი წარმოშობის საფუძვლებისა, განსაკუთრებით ნასყიდობის ფასის გადახდას, ვალის დაბრუნებას და ა.შ.<sup>56</sup>

საბაჟო გარანტია - გაიცემა საბაჟო ორგანოების სასარგებლოდ. საბაჟო გარანტია გამოიყენება საქართველოს ტერიტორიაზე ტვირთის შემოტანისას, ვიდრე ამ ტვირთის განბაჟება მოხდება კანონთა დადგენილი წესით. გარანტიის აღნიშნულ სახესთან დაკავშირებული ურთიერთობები რეგულირდება საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით.<sup>57</sup> თუკი ბანკის კლიენტი ახდენს თავისი პროდუქციის გამოფენას სხვა ქვეყანაში ან თუ კონტრაქტით ესაჭიროება მოახდინოს რაიმე მოწყობილობის დროებითი იმპორტი გარკვეული პროექტისათვის, ზოგიერთ ქვეყანაში შეიძლება იმპორტისათვის დაწესებული გადასახადების თავიდან აცილება თუ კი იმპორტიორი აიღებს ვალდებულებას მოახდინოს ამ საქონლის ან მოწყობილობის რეექსპორტი, რაც გამყარებული იქნება ე. წ. საბაჟო გარანტიით. იმ შემთხვევაში, თუკი დათქმულ ვადაში საქონელი ან მოწყობილობა არ დატოვებს ქვეყნის საზღვრებს, გადასახადისაგან განთავისუფლება კარგავს ძალას და შეიძლება მოთხოვნილი იქნეს გარანტიის გადახდა.<sup>58</sup>

<sup>54</sup>ჭანტურია ლ., კრედიტის უზრუნველყოფის სამართალი, თბილისი, 2012, 232.

<sup>55</sup>Ерпылева Н. Ю. Международное банковское право, Москва, изд. „Форум“ 1998 с. 91.

<sup>56</sup>ჭანტურია ლ., კრედიტის უზრუნველყოფის სამართალი, თბილისი, 2012, 232.

<sup>57</sup>გაბისონია ზ., საბანკო სამართალი, თბილისი, 2015, 242.

<sup>58</sup>ხოტენაშვილი პ., სადისერტაციო ნაშრომი „საბანკო გარანტიათა სამართლებრივი ასპექტები“, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2015 წელი, 74.

## თავი 2. საბანკო გარანტიის დამოუკიდებელი ბუნება

### 2.1. საბანკო გარანტიის დამოუკიდებლობა პრინციპალსა და გარანტს

#### შორის ურთიერთობისგან

საბანკო გარანტია, სულ ცოტა, სამი პირის მონაწილეობით წარმოშობილ სხვადასხვა სახის ურთიერთობებთან არის დაკავშირებული, რომლებიც მართალია, სამართლებრივად დამოუკიდებელნი არიან ერთმანეთისაგან, მაგრამ ფაქტობრივად მჭიდრო ურთიერთკავშირში იმყოფებიან.<sup>59</sup>

საბანკო გარანტიის იურიდიული ბუნებიდან გამომდინარე, საქართველოს უზენაესმა სასამართლომ განმარტა, რომ საბანკო გარანტიასთან დაკავშირებული ურთიერთობის მონაწილეები არიან პრინციპალი, ბენეფიციარი და გარანტი და ამ ურთიერთობის ფარგლებში ფაქტობრივად ორი ხელშეკრულება იდება:

1. გარანტსა და პრინციპალს შორის საბანკო გარანტიის გაცემის თაობაზე ორმხრივი, სასყიდლიანი ხელშეკრულება და 2. თვით საბანკო გარანტია, რომელიც ცალმხრივი გარიგებაა და წარმოშობს გარანტის ცალმხრივ ვალდებულებას ბენეფიციარის მიმართ.<sup>60</sup>

პრინციპალსა და გარანტს შორის გარანტიის გაცემის თაობაზე ხელშეკრულების დადებით წარმოიშობა გარანტის ვალდებულება -დადოს საგარანტიო გარიგება (გაცეს გარანტია) ბენეფიციარის სასარგებლოდ გარანტის სახელით, მაგრამ პრინციპალის ხარჯზე და მისი ინტერესების შესაბამისად. ამ გარიგების დადება (საბანკო გარანტიის გაცემა) წარმოადგენს გარანტიის გაცემის შესახებ ხელშეკრულების მიზანს.<sup>61</sup>

გარანტიის გაცემის შესახებ ხელშეკრულება წარმოადგენს ორმხრივ ხელშეკრულებას და აქ უფლება - მოვალეობანი განაწილებულია ხელშეკრულების მხარეებს შორის. ხელშეკრულების ორივე მხარეს ეკისრება, როგორც გარკვეული ვალდებულებანი, ასევე გააჩნია შესაბამისი უფლებები. კერძოდ, ხელშეკრულებით პრინციპალი იძენს უფლებას მოსთხოვოს გარანტს გარკვეულ ვადაში ან დაუყოვნებლივ გასცეს საგარანტიო წერილი

<sup>59</sup>ჭანტურია ლ., კრედიტის უზრუნველყოფის სამართალი, თბილისი, 2012, 211.

<sup>60</sup>საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გავლერების საქმეთა პალატის 2009 წლის 20 ოქტომბრის გადაწყვეტილება #ას-562-871-09

<sup>61</sup>ხოტენაშვილი პ., სადისერტაციო ნასრომი „საბანკო გარანტიათა სამართლებრივი ასპექტები“, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2015 წელი, 17.

ბენეფიციარის სასარგებლოდ და კისრულობს ვალდებულებას გადაუხადოს ბანკს (გარანტს) ფულადი საზღაური მისი გაცემისათვის, ხოლო გარანტი იძენს გარანტიის გაცემისათვის ფულადი საზღაურის მიღების უფლებას და კისრულობს ვალდებულებას - გარანტად დაუდგეს პრინციპალს ამა თუ იმ კონკრეტულ გარიგებისა თუ ვალდებულების შესრულებაში.<sup>62</sup> ასევე საბანკო გარანტიის გაცემის შესახებ ხელშეკრულება კონსესუალურია, რადგან ხელშეკრულება ჩაითვლება დადებულიად მხარეთა შორის შეთანხმების მიღწევის გაფორმების მომენტიდან.<sup>63</sup>

საბანკო გარანტიის გაცემის შესახებ ხელშეკრულება სასყიდლიანია, რადგან პრინციპალი საბანკო გარანტიის გაცემისათვის გარანტს უხდის შეთანხმებულ საზღაურს.<sup>64</sup>

აგრეთვე საბანკო გარანტიის გაცემის შესახებ ხელშეკრულებით უნდა განისაზღვროს პრინციპალისგან რეგრესის წესით იმ თანხის გადახდის მოთხოვნა, რომელიც აუნაზღაურდა ბენეფიციარს საბანკო გარანტიით, წინააღმდეგ შემთხვევაში კანონი არ აწესებს პრინციპალისგან რეგრესის წესით იმ თანხის გადახდის ვალდებულებას გარანტის წინაშე, რომელიც აუნაზღაურდა ბენეფიციარს საბანკო გარანტიით.<sup>65</sup>

გარანტსა და პრინციპალს შორის საბანკო გარანტიის ხელშეკრულების გაფორმება ავტომატურად არ ნიშნავს საბანკო გარანტიის გაცემას. საბანკო გარანტიისგაცემას პრაქტიკაში საგარანტო წერილის გაცემას უწოდებენ.<sup>66</sup> შეიძლება გარანტსა და პრინციპალს შორის დაიდოს ასეთი ხელშეკრულება, მაგრამ გარანტმა არ შეასრულოს ის და არ გასცეს გარანტია, ამით ის არღვევს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებას, ერთი მხრივ, ხოლო მეორე მხრივ, არ წარმოიშობა გარანტიის ურთიერთობა გარანტსა და ბენეფიციარს შორის. ამდენად სახეზეა ორი დამოუკიდებელი ვალდებულებითი ურთიერთობა, რომელშიც ერთ-ერთი მონაწილე ყოველთვის არის გარანტი.<sup>67</sup>

---

<sup>62</sup>ხოტენაშვილი პ. , სადისერტაციო ნაშრომი „საბანკო გარანტიათა სამართლებრივი ასპექტები“, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2015 წელი, 18.

<sup>63</sup>ჭიპაშვილი ნ. , საბანკო გარანტია საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, აკადემიური მაცნე ACADEMIC DIGEST, სამართალი LAW, #1, 2012, 209.

<sup>64</sup>საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 880.

<sup>65</sup>საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 890.

<sup>66</sup>გაბისონია ზ. , საბანკო სამართალი, თბილისი, 2015, 238.

<sup>67</sup>ჭანტურია ლ. , კრედიტის უზრუნველყოფის სამართალი, თბილისი, 2012, 212.

გარანტისათვის გარანტიის გაცემის საფუძველს წარმოადგენს პრინციპალისაგან მათ შორის დადებული საბანკო გარანტიის გაცემის შესახებ ხელშეკრულების საფუძველზე მიღებული შემხვედრი დაკმაყოფილება. შესაბამისად, გარანტიის გაცემის შესახებ ხელშეკრულება წარმოადგენს კაუზალურ გარიგებას. თუ პრინციპალი რაიმე მიზეზის გამო არ გადაუხდის გარანტს შესაბამის ანაზღაურებას, გარანტს უფლება აქვს არ გასცეს გარანტია, მაგრამ გარანტია თუ უკვე გაცემულია, იგი ინარჩუნებს ძალას. იმის მიუხედავად, მიიღო თუ არა გარანტმა პრინციპალისაგან შემხვედრი დაკმაყოფილება, რადგან საბანკო გარანტია წარმოადგენს ვალდებულებას არა პრინციპალის მიმართ, არამედ - ბენეფიციარის მიმართ, ამიტომ საფუძველის არარსებობა ან გაქრობა არ იწვევს საბანკო გარანტიის ბათილობას, თუკი საბანკო გარანტია უკვე გაიცა.<sup>68</sup>

საბანკო გარანტიის გარიგება თავისი იურიდიული ბუნებით წარმოადგენს ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის საშუალებას, ისევე როგორც ბე, გირავნობა, თავდებობა და პირგასამტეხლო. საბანკო გარანტიის გარიგება თვითონაა ვალდებულება, რომელიც წარმოიშობა კანონით განსაზღვრულ პირებს შორის და რომლის მიზანი არის ძირითადი ვალდებულების შესრულება.<sup>69</sup> აღნიშნული გამომდინარეობს სსკ-ის 880-ე მუხლიდან, რომლის თანახმადაც საბანკო გარანტია უზრუნველყოფს პრინციპალის მიერ ბენეფიციარის მიმართ თავისი მოვალეობის სათანადო შესრულებას.<sup>70</sup>

არსებობს მოსაზრება, რომლის თანახმადაც საბანკო გარანტია ცალმხრივ გარიგებად მიიჩნევა, რომელიც ერთი პირის (გარანტის) ნებას გამოხატავს. გარანტის ცალმხრივი ვალდებულება ბენეფიციარის მიმართ წარმოიშობა მის მიერ ცალმხრივი გარიგების დადებით - საბანკო გარანტიის გაცემით და საბანკო გარანტიის ვალდებულების წარმოშობისთვის კი, ბენეფიციარის ნებას არანაირი მნიშვნელობა არ გააჩნია. ამასთან საბანკო გარანტიას გაცემისთანავე გააჩნია სავალდებულო ხასიათი და იგი არ შეიძლება გაუქმდეს მხარეთა შეთანხმებით, ვინაიდან საბანკო გარანტიის გაცემა და მოქმედება

<sup>68</sup>Ефимова Л. Г. Банковские сделки, Москва, „Контракт“ „Инфра М“, 2000 с. 268.

<sup>69</sup>ხოტენაშვილი პ., სადისერტაციო ნაშრომი „საბანკო გარანტიათა სამართლებრივი ასპექტები“, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, 2015 წელი, 19.

<sup>70</sup>საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 880.

მასში მითითებული ვადის განმავლობაში წარმოადგენს გარანტიის გაცემის თაობაზე ხელშეკრულებით გარანტიის მიერ ნაკისრი ვალდებულების შესრულებას.<sup>71</sup>

არსებობს განსხვავებული მოსაზრებაც, რომლის თანახმადაც საბანკო გარანტიას მიიჩნევენ გარანტსა და ბენეფიციარს შორის დადებულ ხელშეკრულებად, რადგან კრედიტორისთვის (ბენეფიციარი) მხოლოდ გარანტისა და მოვალის ურთიერთშეთანხმება გარანტიის გაცემის თაობაზე და გარანტის მიერ საბანკო გარანტიის გაცემა საკმარისი არ არის, და ბენეფიციარმაც უნდა განაცხადოს თანხმობა - მიიღოს ბანკის მიერ შეთავაზებული გარანტია. მართო გარანტის მიერ ნების გამოვლენა (საგარანტიო წერილის გაცემა) არ არის საკმარისი დასახული სამართლებრივი შედეგის დასადგომად, თუ ბენეფიციარმაც არ მიიღო იგი. მხოლოდ ბენეფიციარის ინფორმირებულობა საკმარისი არ არის საბანკო გარანტიის ნამდვილობისთვის, როგორც ეს ცალმხრივი გარიგების დროსაა.<sup>72</sup>

ასევე საბანკო გარანტიას არ მიიჩნევენ გარანტსა და ბენეფიციარს შორის ხელშეკრულებად, ვინაიდან ხელშეკრულება შეიძლება გამოხატავდეს მინიმუმ ორი მხარის ნებას: გარანტის წერილობით ვალდებულებას, როგორც ოფერტს და ბენეფიციარის დუმილს, როგორც თანხმობას. ამ შემთხვევაში ბენეფიციარის დუმილი აქცეპტად ვერ ჩაითვლება, ვინაიდან დუმილი იმ შემთხვევაში ითვლება აქცეპტად თუ წინადადების მიმღებს უკვე აქვს საქმიანი კავშირი ოფერენტთან.<sup>73</sup>

საქართველოს უზენაესმა სასამართლომ განმარტა გადაწყვეტილებაში, რომ საბანკო გარანტია , როგორც „საბანკო გარანტიის ამონაწერად „ შეფასებული დოკუმენტი, ცალმხრივი გარიგებაა, რომელიც წარმოშობს მხოლოდ გარანტის ვალდებულებას ბენეფიციარის წინაშე და ბენეფიციარის მიერ მისი წარდგენა იწვევს გარანტის ნაკისრი ვალდებულების უპირობო შესრულებას.<sup>74</sup>

შესაბამისად , პრინციპალსა და გარანტს შორის დადებული ხელშეკრულება არის ორმხრივი, სასყიდლიანი ხელშეკრულება და მის მიზანს წარმოადგენს გარანტის მიერ

<sup>71</sup> ხოტენაშვილი პ., სადისერტაციო ნაშრომი „საბანკო გარანტიათა სამართლებრივი ასპექტები“, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, 2015 წელი, 21.

<sup>72</sup> ჭანტურია ლ. , კრედიტის უზრუნველყოფის სამართალი, თბილისი, 2012, 214-215.

<sup>73</sup> იხ. , შენიშვნა 71, 20.

<sup>74</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2009 წლის 20 ოქტომბრის გადაწყვეტილება #ას-562-871-09.



საბანკო გარანტიის გაცემა. ხოლო საბანკო გარანტია არის ცალმხრივი გარიგება, რომელიც წარმოშობს გარანტის ცალმხრივ ვალდებულებას ბენეფიციარის მიმართ.

## 2.2. საბანკო გარანტიის დამოუკიდებლობა ძირითადი ვალდებულებისაგან

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 881-ე მუხლით არის განსაზღვრული საბანკო გარანტიის დამოუკიდებელი ბუნება. კერძოდ, „ საბანკო გარანტიით გათვალისწინებული გარანტის ვალდებულება ბენეფიციარის წინაშე მათ შორის ურთიერთობისას არ არის დამოკიდებული ძირითად ვალდებულებაზე , რომლის შესრულების უზრუნველსაყოფადაც არის ის გაცემული, მაშინაც კი, როცა გარანტია შეიცავს მითითებას ამ ვალდებულებაზე.“<sup>75</sup> და ასევე 887-ე მუხლის მე-2 პუნქტი არის ასევე საბანკო გარანტიის დამოუკიდებელი ბუნების განმსაზღვრელი, სადაც მითითებულია, რომ ბენეფიციარის ხელმეორე მოთხოვნა ექვემდებარება გარანტის მიერ დაკმაყოფილებას, თუნდაც საბანკო გარანტიით უზრუნველყოფილი ძირითადი ვალდებულება შესაბამის ნაწილში მთლიანად უკვე შესრულებულია, შეწყდა სხვა საფუძვლებით ან ბათილია.<sup>76</sup>

საბანკო გარანტიის უმთავრეს ღირსებად უნდა მივიჩნიოთ მისი ავტონომიურობის პრინციპი. შემთხვევის რეგულირებას გარანტი საკუთარი შეხედულებისამებრ ახდენს და ძირითადი ვალდებულების სუბიექტთა უფლებები და მოვალეობები გარანტის ქმედებაზე გავლენას ვერ ახდენს. გარანტის ვალდებულება ერთნაირად დამოუკიდებელია როგორც ძირითადი ვალდებულების , ასევე , თავად გარანტსა და პრინციპალს შორის დადებული საგარანტიო ხელშეკრულებისგან.<sup>77</sup>

საგარანტიო ურთიერთობებში კრედიტორსა (ბენეფიციარსა) და მოვალეს (პრინციპალს) შორის ურთიერთობას ძირითადი ვალდებულება ეწოდება. მაგალითად,

<sup>75</sup>საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 881.

<sup>76</sup>საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 887.

<sup>77</sup>ლიპარტია ნ. , საბანკო გარანტიის სამართლებრივი ბუნების მიმოხილვა დამოუკიდებლობისა და „ზუსტი შესაბამისობის“ პრინციპებთან მიმართებით, სამართლის ჟურნალი, #2, 2017, 44.

სამშენებლო ორგანიზაციასა (მოვალე) და შემკვეთს (კრედიტორი) შორის დადებული ნარდობის ხელშეკრულება გზის მშენებლობაზე.<sup>78</sup>

გარანტს მკვეთრად გამოყოფილი მოვალეობები აკისრია ბენეფიციარის წინაშე. მათ განსაკუთრებული ავტონომიურობა ახასიათებთ. გარანტსა და ბენეფიციარს შორის ურთიერთობისას გარანტის ვალდებულება არ არის დამოკიდებული იმ ძირითად ვალდებულებაზე, რომლის შესრულების უზრუნველსაყოფადაც გაიცა იგი. ძირითადი ვალდებულება შეიძლება შეწყდეს, გაბათილდეს ან შეიცვალოს სხვადასხვა მიზეზის გამო. ასეთ შემთხვევებში ურთიერთობა გარანტსა და ბენეფიციარს შორის კვლავაც შენარჩუნებული იქნება.<sup>79</sup>

საერთაშორისო სავაჭრო პალატის მიერ შექმნილი უნიფიცირებული წესები, კერძოდ URDG #758-ის მე-5 მუხლით განსაზღვრულია დამოუკიდებელი გარანტიების დამოუკიდებელი ბუნება, რომლის თანახმად გარანტია თავისი ბუნებით არ არის დამოკიდებული ძირითად გარიგებასა და განცხადებებზე, ხოლო გარანტი არანაირად არ არის შეზღუდული და არ არის შემოსაზღვრული ამგვარი გარიგებებით. იდენტიფიკაციის მიზნით გარანტიაში ძირითადი გარიგების მითითება არ ცვლის გარანტიის დამოუკიდებელ ბუნებას. გარანტის ვალდებულება გადაიხადოს გარანტიით, არ არის დამოკიდებული რაიმე ურთიერთობიდან გამომდინარე მოთხოვნებსა და პრეტენზიებზე, გარდა გარანტსა და ბენეფიციარს შორის ურთიერთობისა. ამ ძირითადი პრინციპით სამოქალაქო კოდექსი და საერთაშორისო წესები შეესაბამება ერთმანეთს.<sup>80</sup>

ასევე გაეროს სავაჭრო კომისიის მიერ შექმნილ დამოუკიდებელი გარანტიებისა და რეზერვული აკრედიტივების შესახებ 1996 წლის ნიუ-იორკის კონვენციაში (UN Convention on demand guarantees and stand-by letters of Credit) ასახულია საბანკო გარანტიების დამოუკიდებლობის პრინციპი, კონვენციის მე-3 მუხლის შესაბამისად, „კონვენციის მიზნებისთვის გარანტის ვალდებულება: ა) არ არის დამოკიდებული

<sup>78</sup>ჭანტურია ლ., კრედიტის უზრუნველყოფის სამართალი, თბილისი, 2012, 211.

<sup>79</sup>ჭანტურია ლ., ზოიძე ბ., ნინიძე თ., შენგელი რ., ხეცურაიანი ჯ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეოთხე, ტომი II, თბილისი, 2001, 218.

<sup>80</sup>ჭიკაშვილი ნ., სადისერტაციო ნაშრომი „საბანკო გარანტია საქართველოს კანონმდებლობისა და საერთაშორისო უნიფიცირებული წესების მიხედვით“, გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტი, თბილისი, 2015, 133.

ძირითადი ვალდებულების არსებობასა ან კანონიერებაზე (მათ შორის ვალდებულებაზე, რომელიც გარანტიით ან რეზერვული აკრედიტივით არის უზრუნველყოფილი); ბ) ან რაიმე პირობაზე, რომელიც არ არის მითითებული გარანტიაში, ან რომელიც მომავალში შეიძლება წარმოიშვას, გარდა ბენეფიციარის მიერ მოთხოვნის დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარმოდგენისა<sup>81</sup>

საბანკო გარანტიის ძირითადი ვალდებულებისგან დამოუკიდებლობა ხაზგასმულია გაეროს კონვენციასა და უნიფიცირებულ წესებში. ასევე, აღსანიშნავია, რომ გარანტის პასუხისმგებლობა არ უნდა იქნეს დამოკიდებული ძირითადი ვალდებულების სუბიექტების პრეტენზიებსა და შესაგებლებზე, იმის მიუხედავად, რომ გარანტია შეიცავს მითითებას ძირითად ვალდებულებაზე.<sup>82</sup> გარანტისთვის ყველაზე მნიშვნელოვანია წარმოდგენილი დოკუმენტები ან, უპირობო საბანკო გარანტიის შემთხვევაში, საგარანტიო თანხის ანაზღაურების შესახებ მოთხოვნა შეესაბამება თუ არა საბანკო გარანტიით განსაზღვრულ პირობებს.<sup>83</sup>

გაეროს კონვენციის „დამოუკიდებელი გარანტიების და სარეზერვო აკრედიტივების შესახებ“ და ICC-ის უნიფიცირებული წესების მსგავსად, საქართველოს სამოქალაქო კოდექსი ხაზს უსვამს ბენეფიციარის მიმართ საგარანტიო ვალდებულების დამოუკიდებლობას იმ ძირითადი ურთიერთობისაგან, რომელიც საბანკო გარანტიის გაცემის შედეგად წარმოიშობა. მაშინაც კი, თუ საბანკო გარანტია შეიცავს მითითებას იმ ძირითად ვალდებულებაზე, რომლის უზრუნველსაყოფადაც საგარანტიო ურთიერთობა წარმოიშვა. საგარანტიო ვალდებულების ძირითადი ვალდებულებისაგან დამოუკიდებლობის ხაზგასმის მიზანს წარმოადგენს გარანტის მიერ ბენეფიციარის მიმართ შესრულების ვალდებულების, საბანკო გარანტიის ლიკვიდური ხასიათის და აღსრულების სიმარტივის საკანონმდებლო თუ უნიფიცირებულ დონეზე აღიარება.

<sup>81</sup>ლიპარტია ნ., საბანკო გარანტიის სამართლებრივი ბუნების მიმოხილვა დამოუკიდებლობისა და „ზუსტი შესაბამისობის“ პრინციპებთან მიმართებით, სამართლის ჟურნალი, #2, 2017, 42.

<sup>82</sup>Kelly-Louw M., Limiting Exceptions to the Autonomy Principle of Demand Guarantees and Letters of Credit, 2008, 311.

<sup>83</sup>იხ., შენიშვნა 81, 43.

სწორედ ანალოგიური სახით ფორმულირებაშია გამოკვეთილი ზოგადად, საბანკო გარანტიის არსი და დანიშნულება.<sup>84</sup>

საქართველოს უზენაესმა სასამართლომ საბანკო გარანტიის დამოუკიდებელი ბუნების შესახებ აღნიშნა არაერთ გადაწყვეტილებაში. კერძოდ, „სამოქალაქო კოდექსი საბანკო გარანტიას განიხილავს, როგორც მოთხოვნის უზრუნველყოფის ერთ-ერთ საშუალებას, რომელიც სხვა უზრუნველყოფის საშუალებებისაგან განსხვავდება თავისი დამოუკიდებლობით - არაააქცესორულობით, რაც გულისხმობს იმას, რომ ძირითადი ვალდებულება - ხელშეკრულება, რომლის უზრუნველსაყოფადაც საბანკო გარანტია გაიცა გავლენას ვერ ახდენს ამ უკანასკნელზე. საბანკო გარანტია შესასრულებელია გაცემული პირობების ფარგლებში ბენეფიციარის მოთხოვნის თანავე, მიუხედავად იმისა, არსებობს თუ არა ძირითადი ვალდებულებიდან გამომდინარე შესაგებელი.“<sup>85</sup> ასევე საბანკო გარანტიის ერთ-ერთი მთავარი დამახასიათებელი ნიშანი, რაც მას გამოარჩევს ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის სხვა საშუალებებისაგან, არის საბანკო გარანტიის დამოუკიდებლობა ძირითადი ვალდებულებისაგან. საბანკო გარანტია ეფუძნება არა მხარეთა შეთანხმებას (ხელშეკრულებას), არამედ მისი გამცემი პირის (გარანტის) ცალმხრივ და უპირობო ვალდებულებას, ხოლო რაც შეეხება ძირითად ვალდებულებასთან დაკავშირებულ შემთხვევებს, როგორცაა: საბანკო გარანტიით უზრუნველყოფილი ძირითადი ვალდებულების მთლიანად ან ნაწილობრივ შესრულება, მისი სხვა საფუძვლებით შეწყვეტა ან ბათილად აღიარება, კანონი მათ გარანტის ვალდებულებისაგან გათავისუფლების საფუძვლად არ განიხილავს. ასეთ შემთხვევებში გარანტი უფლებამოსილია, დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ ბენეფიციარსა და პრინციპალს, თუმცა მიუხედავად ამ შეტყობინებისა, ბენეფიციარის განმეორებითი მოთხოვნა დაკმაყოფილებას ექვემდებარება.<sup>86</sup> ასევე საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ „საბანკო გარანტია მართალია, უზრუნველყოფს პრინციპალის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების

<sup>84</sup>ათაბეგაშვილი დ., სადისერტაციო ნაშრომი „საგარანტიო ვალდებულების დამოუკიდებლობის ხარისხი და მისი პირობითობის დამღვევის მიზანშეწონილობა“, ნიუ ვიქენ უნივერსიტეტის სამართლის სკოლა, თბილისი, 2018, 173.

<sup>85</sup>საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2009 წლის 20 ოქტომბრის გადაწყვეტილება Nას-562-871-09.

<sup>86</sup>საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2009 წლის 17 მარტის გადაწყვეტილება Nას-781-996-08.

შესრულებას, მაგრამ მისი არააქცესორული ბუნებიდან გამომდინარე, იგი თვითონაა დამოუკიდებელი ვალდებულება. პრინციპალის ძირითადი ვალდებულების გაბათილება ,შეწყვეტა ან სამართლებრივი ვითარების სხვაგვარი შეცვლა, თავისთავად არ გამოიწვევს საბანკო გარანტიის მოქმედების შეწყვეტას.<sup>87</sup>

უზენაესმა სასამართლომ ერთმანეთისაგან გამოყო პრინციპალსა და ბენეფიციარს შორის არსებული უზრუნველყოფილი ვალდებულება და გარანტიის ცალმხრივი ვალდებულება ბენეფიციარის მიმართ საგარანტიო თანხის გადახდის შესახებ და ამით ხაზი გაუსვა საბანკო გარანტიის დამოუკიდებელ ბუნებას.

საბანკო გარანტიის საფუძველზე ბენეფიციარს და გარანტს შორის წარმოშობილი სამართლებრივი ურთიერთობა, პრინციპალს და ბენეფიციარს შორის არსებული ძირითადი ურთიერთობისაგან დამოუკიდებელ ავტონომიურ ურთიერთობას წარმოადგენს. საგარანტიო ვალდებულების ძირითადი კონტრაქტისაგან სრულად განცალკევება, გამორიცხავს პრინციპალის რაიმე უფლებას, თავიდან აირიდოს ბენეფიციარის მიერ საგარანტიო თანხის უსაფუძვლოდ გამოთხოვა. რამაც შეიძლება გამოიწვიოს, როგორც პრინციპალის, ასევე გარანტის ინტერესების დაზარალება. ეს საკითხი განსაკუთრებით აქტუალურია იმ ტიპის უპირობო, მარტივად შესასრულებელი საბანკო გარანტიის დროს, როდესაც ბენეფიციარს არ აქვს პრინციპალის ვალდებულების დარღვევის მტკიცების ტვირთი. აღნიშნულთან დაკავშირებით გაეროს კონვენცია დამოუკიდებელი გარანტიებისა და სარეზერვო აკრედიტივების შესახებ ითვალისწინებს საგარანტიო ვალდებულების ავტონომიურობის პრინციპიდან ძირითად გამონაკლისს, რომლის მიხედვითაც ბენეფიციარმა საგარანტიო თანხის მოთხოვნის პროცესში უნდა დაადასტუროს , რომ მისი მოთხოვნა არ შეიცავს არაკეთილსინდისიერების ელემენტებს. წინააღმდეგ შემთხვევაში , გარანტს შეუძლია შეზღუდოს ბენეფიციარის უფლება და თავი შეიკავოს საგარანტიო თანხის გადახდისაგან.<sup>88</sup>

<sup>87</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 25 სექტემბრის განჩინება საქართველოს სახელით Nას-749-709-2015.

<sup>88</sup> ათაბეგაშვილი დ., სადისერტაციო ნაშრომი „ საგარანტიო ვალდებულების დამოუკიდებლობის ხარისხი და მისი პირობითობის დამღვევის მიზანშეწონილობა“, ნიუ ვიქენ უნივერსიტეტის სამართლის სკოლა, 2018წელი, 236-238.

არსებობს მოსაზრება, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი რომელიც არ ცნობს საბანკო გარანტიათა დამოუკიდებლობის პრინციპის შეზღუდვას ბენეფიციარის არაკეთილსინდისიერების შემთხვევაში უნდა ჩაითვალოს ქართული კანონმდებლობის ნაკლად. გასათვალისწინებელია, რომ „დამოუკიდებელი გარანტიებისა და სარეზერვო აკრედიტივების შესახებ“ გაეროს კონვენციას საქართველო არ არის მიერთებული და კონვენციის შესაბამისი ნორმები საქართველოში წარმოშობილი საგარანტიო ურთიერთობების მიმართ გამოყენებული ვერ იქნება - თუ თვითონ მხარეები არ გაითვალისწინებენ გარანტიის ტექსტში კონვენციის ნორმების სავალდებულოობაზე. მართალია სამოქალაქო კოდექსი კრძალავს უფლების ბოროტად გამოყენებას და აწესებს მის კეთილსინდისიერად განხორციელების ვალდებულებას, აღნიშნული ნორმები არაქმედითად უნდა ჩაითვალოს იქიდან გამომდინარე, რომ ამავე კოდექსის 887-ე მუხლის მეორე ნაწილი პირდაპირ ავალდებულებს გარანტს გადაიხადოს საგარანტიო თანხა იმ შემთხვევაშიც კი თუ მისთვის ცნობილია, რომ გარანტიით უზრუნველყოფილი ვალდებულება შესრულდა, შეწყდა ან ბათილია, რაც ბენეფიციარის მხრიდან არაკეთილსინდისიერი ქმედების ალბათობას ტოვებს.<sup>89</sup>

აღნიშნულთან დაკავშირებით არის განსხვავებული მოსაზრებაც, რომლის მიხედვითაც საგარანტიო ვალდებულების დამოუკიდებლობის და ავტონომიურობის პრინციპის შეზღუდვები, გამონაკლის შემთხვევებშიც კი ცალსახად კონფლიქტში მოდის ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპთან. ამ მოსაზრების თანახმად უპირობო საბანკო გარანტია, სხვა კონტრაქტების მსგავსად წარმოადგენს მხარეთა თავისუფალი ნების გამოვლენის და მათი პოზიციების თანხვედრის შედეგს. იმ პირობებში, როდესაც მხარეები თანხმდებიან, რომ ბენეფიციარი უფლებამოსილია მოითხოვოს საგარანტიო თანხის გადახდა უპირობოდ, პრინციპალის მიერ ძირითადი ვალდებულების დარღვევის ყოველგვარი დამტკიცების გარეშე, აღნიშნული წარმოადგენს ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპის კლასიკურ ნიმუშს, რაც გარანტს უპირობოდ ავალდებულებს თანხის გადახდას ბენეფიციარის მარტივი მოთხოვნისთანავე. შესაბამისად, აღნიშნული წესის მარეგულირებელი კანონის მიზანს უპირობო საბანკო გარანტიის აღსრულების გამარტივება წარმოადგენს. საგარანტიო

<sup>89</sup> ხოტენაშვილი პ., სადისერტაციო ნაშრომი „საბანკო გარანტიათა სამართლებრივი ასპექტები“, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2015 წელი, 25-26.

ვალდებულების დამოუკიდებლობის და ავტონომიურობის პრინციპის შეზღუდვა არის ბენეფიციარს და გარანტს შორის არსებული სახელშეკრულებო თავისუფლებაში შეჭრა პრინციპალის დასაცავად. ამიტომ ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპი და საგარანტიო ვალდებულების დამოუკიდებლობის პრინციპის შეზღუდვა ერთმანეთთან კონფლიქტში მოდის.<sup>90</sup>

საგარანტიო ვალდებულების დამოუკიდებლობის პრინციპის შეზღუდვა , ვფიქრობ ეწინააღმდეგება საბანკო გარანტიის არსსა და დანიშნულებას, მის განსაკუთრებულ ბუნებას, რაც მას გამოარჩევს მოთხოვნის უზრუნველყოფის სხვა საშუალებებისაგან.

### თავი 3. გადახდის პირობები

ბენეფიციარს გარანტიით გათვალისწინებული მოთხოვნის განხორციელების უფლება წარმოეშობა საგარანტიო შემთხვევის დადგომისთანავე. ამ მომენტიდან მას შეუძლია მოითხოვოს გარანტისაგან საგარანტიო თანხის გადახდა . ხელშეკრულებით მხარეებს შეუძლიათ განსაზღვრონ , თუ რა წინაპირობების არსებობისას არის გარანტი ვალდებული განხორციელოს გადახდა. ამიტომ მნიშვნელოვანია საგარანტიო წერილში ან ხელშეკრულებაში განისაზღვროს საგარანტიო შემთხვევა, ე.ი. ძირითადი ვალდებულების ის დარღვევა, რომლის დადგომის შემთხვევაში გარანტს ეკისრება ბენეფიციარისთვის ფულადი თანხის გადახდა.<sup>91</sup>

გადახდის პირობები ე.წ. „გადახდის მექანიზმი“ განსაზღვრავს იმ მტკიცებულების სახეს, რომელმაც უნდა დაადასტუროს პრინციპალის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობა, რომლის წარდგენისასაც ბანკმა უნდა მოახდინოს გადახდა, ან მაგალითად, როგორც მოთხოვნამდე გარანტიის შემთხვევაში ადგენს, რომ არანაირი მტკიცებულების წარდგენა საჭირო არ არის და გადახდის მოთხოვნა საკმარისია. ყოველ

<sup>90</sup>ათაბეგაშვილი დ., სადისერტაციო ნაშრომი „ საგარანტიო ვალდებულების დამოუკიდებლობის ხარისხი და მისი პირობითობის დამღვევის მიზანშეწინილობა“, ნიუ ვიქენ უნივერსიტეტის სამართლის სკოლა, 2018 წელი, 254-256.

<sup>91</sup>ჭანტურია ლ., კრედიტის უზრუნველყოფის სამართალი, თბილისი, 2012, 219-221.

კონკრეტულ შემთხვევაში მხარეებს შორის შეთანხმებული უნდა იყოს გადახდის კონკრეტული მექანიზმი და ჩამოყალიბებული უნდა იყოს გარანტიის ტექსტში.<sup>92</sup> საგარანტიო პრაქტიკაში საგარანტიო თანხის გადახდისათვის, ბენეფიციარის მიერ მარტივი ან რთული პროცედურების დაცვა შესაბამისად, დოკუმენტარულად ან არადოკუმენტარულად მოიხსენიება. ხოლო საბანკო გარანტია პირობითია ან უპირობო. მონაწილე მხარეების განსხვავებული ინტერესების დაცვა განაპირობებს საგარანტიო თანხის გადახდისათვის მარტივი ან რთული მოთხოვნების შესრულების დაწესებას.<sup>93</sup>

გადახდის მექანიზმი დიდწილად შეადგენს საბანკო გარანტიის არსს. იგი განსაზღვრავს გარანტიის რეალურ სარგებლიანობას ბენეფიციარისათვის და რისკებს, რომლის ქვეშაც ექცევა პრინციპალი. გარანტიაში შეიძლება ჩადებული იყოს დებულება, რომლის მიხედვითაც საგარანტიო თანხის გადახდა მოხდება ბენეფიციარის პირველი მოთხოვნისთანავე, ვალდებულების შეუსრულებლობის მტკიცების გარეშე, ან გადახდისთვის ითვალისწინებდეს სასამართლო ან საარბიტრაჟო გადაწყვეტილების წარდგენას ან მესამე მხარის (დამოუკიდებელი ექსპერტის ან სპეციალისტის) მიერ გაცემული დოკუმენტების წარდგენის საფუძველზე მოხდეს საგარანტიო თანხის გადახდა. გადახდის სამივე მექანიზმი ატარებს საერთო ნიშან-თვისებებს, მიუხედავად იმისა, რომ ითვალისწინებს სხვადასხვა ხარისხის მტკიცებულების წარდგენას ვალდებულების შეუსრულებლობის დასადასტურებლად. სამივე მათგანი გულისხმობს დოკუმენტების წარდგენას და გარანტის ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ განსაზღვროს შეესაბამება თუ არა წარდგენილი დოკუმენტები გარანტიის პირობებს. საბანკო გარანტიათა ეს სამი განსხვავებული სახეობა ცნობილია სხვადასხვა ქვეყნის კანონმდებლობებისა და საბანკო პრაქტიკისათვის, მათ შორისაა საქართველოც.<sup>94</sup>

არსებობს მოსაზრება, რომ სსკ-ის მიხედვით საბანკო გარანტიის დეფინიცია არ იძლევა მკაფიო განმარტებას. კერძოდ, შესაძლებელია მხარეებმა მხოლოდ უპირობო

<sup>92</sup> ხოტენაშვილი პ., სადისერტაციო ნაშრომი „ საბანკო გარანტიათა სამართლებრივი ასპექტები“, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2015 წელი, 42.

<sup>93</sup> ათაბეგაშვილი დ., სადისერტაციო ნაშრომი „ საგარანტიო ვალდებულების დამოუკიდებლობის ხარისხი და მისი პირობითობის დაძლევის მიზანშეწონილობა“, ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის სამართლის სკოლა, 2018 წელი, 273.

<sup>94</sup> ხოტენაშვილი პ., სადისერტაციო ნაშრომი „ საბანკო გარანტიათა სამართლებრივი ასპექტები“, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2015 წელი, 43.



საბანკო გარანტია აირჩიონ, თუ მხოლოდ პირობითი საბანკო გარანტიის გაცემის შესაძლებლობას იძლევა კოდექსი ან თუ არსებობს ალტერნატივა აღნიშნული შინაარსის საბანკო გარანტიებს შორის.<sup>95</sup> არის კიდევ განსხვავებული შეხედულება, რომლის თანახმადაც საქართველოს სამოქალაქო კოდექსი არ იცნობს ე. წ. უპირობო/ პირველივე მოთხოვნით გარანტიის ცნებას.<sup>96</sup>

### 3.1. გადახდა პირველივე მოთხოვნისთანავე

გადახდა ბენეფიციარის პირველ მოთხოვნაზე წარმოადგენს საერთაშორისო ვაჭრობაში გავრცელებული გარანტიების გადახდის მექანიზმის გაბატონებულ სახეს. ბენეფიციარს უფლება აქვს მიიღოს თანხა გადახდის თაობაზე უბრალო მოთხოვნის წარდგენის საფუძველზე თუ საბანკო გარანტია მიუთითებს, რომ გადახდა მოხდება ბენეფიციარის პირველივე მოთხოვნის წარდგენისას. მას არ სჭირდება რაიმე მტკიცებულებების ან საბუთის წარდგენა, რომელიც დაადასტურებს პრინციპალის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობას ან მის უფლებას მიიღოს დაკმაყოფილება ძირითადი ხელშეკრულებიდან გამომდინარე. ასევე გარანტსაც არ აქვს უფლება მოითხოვოს რაიმე მტკიცებულება და გამოიკვლიოს ზემოხსენებული საკითხი. რაიმე კითხვები ან ეჭვები არ ათავისუფლებს ბანკს მოვალეობისაგან - გადაიხადოს თანხა, როდესაც ბენეფიციარი ამას მოითხოვს. საკითხი იმის თაობაზე, თუ რამდენად აქვს ბენეფიციარს უფლება მიიღოს თანხები ძირითადი ხელშეკრულების შესაბამისად, არ შეიძლება დაისვას გარანტიასთან მიმართებაში. ეს საკითხი შეიძლება წამოწყულ იქნეს ძირითადი ხელშეკრულების მხარის მიერ მხოლოდ მას შემდეგ, რაც გარანტი მოახდენს გადახდას. შესაბამისად, სავსებით შესაძლებელია, რომ ბენეფიციარმა გარანტიის

<sup>95</sup> ათაბეგაშვილი დ., სადისერტაციო ნაშრომი „ საგარანტიო ვალდებულების დამოუკიდებლობის ხარისხი და მისი პირობითობის დაძლევის მიზანშეწონილობა“, ნიუ ვიკენ უნივერსიტეტის სამართლის სკოლა, 2018 წელი, 174.

<sup>96</sup> ჭიკაშვილი ნ. , სადისერტაციო ნაშრომი „ საბანკო გარანტია საქართველოს კანონმდებლობისა და საერთაშორისო უნიფიცირებული წესების მიხედვით“, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი, 2015 წელი, 7.

საფუძველზე მიიღოს თანხები, ხოლო შემდგომში სასამართლო პროცესზე პრინციპალსა და ბენეფიციარს შორის აღმოჩნდეს, რომ ბენეფიციარს ძირითადი კონტრაქტის შესაბამისად არ ჰქონდა თანხის მიღების უფლება.<sup>97</sup>

ცნობილია პირველ მოთხოვნამდე გარანტიების ორი სახე. პირველი მათგანია ე.წ. უბრალო მოთხოვნამდე გარანტიები, რომელთა გადასახდელად საკმარისია ბენეფიციარის უბრალო წერილობითი მოთხოვნა. პირველ მოთხოვნამდე გარანტიათა მეორე სახეობა შეიცავს პირობას, რომლის შესაბამისადაც ბენეფიციარმა გადახდის მოთხოვნის წარდგენისას უნდა განაცხადოს, რომ პრინციპალმა არ შეასრულა ვალდებულება და აღწეროს რაში გამოიხატა ეს შეუსრულებლობა. მაგალითად, სატენდერო გარანტიის შემთხვევაში, რომ მან ხელი არ მოაწერა შეთანხმებულ კონტრაქტს, გადახდის გარანტიის შემთხვევაში - რომ არ გადაიხადა ნივთის ღირებულება ან რომ არ დაასრულა პროექტი - შესრულების გარანტიის შემთხვევაში.<sup>98</sup>

უპირობო გარანტიის აღსრულების პროცესში, გარანტი ამოწმებს მხოლოდ ბენეფიციარის მოთხოვნის ფორმალურ მხარეს. კერძოდ, ითვალისწინებს თუ არა წარდგენილი მოთხოვნა, პრინციპალის მიერ ნაკისრი ვალდებულების დარღვევის თაობაზე მითითებას და ამავედროულად განმარტებას, თუ რაში გამოიხატება ძირითადი კონტრაქტის დარღვევა. უპირობო საბანკო გარანტიის შემთხვევაში, არ შეიძლება გარანტს დაეკისროს ფორმალური მხარის შემოწმების გარდა სხვა დამატებითი ვალდებულება. გარანტის ვალდებულებების ფარგლებს სცდება პრინციპალს და ბენეფიციარს შორის ურთიერთობაში სხვაგვარი ჩარევა და ძირითადი ვალდებულების დარღვევის დეტალების არსებითი შესწავლა. თუ ბენეფიციარი იცავს მოთხოვნის წარდგენის ფორმალურ მხარეს, გარანტი მას უხდის საგარანტიო თანხას. საგარანტიო თანხის გადახდის საკითხი ძირითადი ვალდებულებისაგან უფრო მეტად დამოუკიდებელია უპირობო გარანტიის შემთხვევაში და მხოლოდ ფორმალური წინაპირობის დაცვის მოთხოვნით ბალანსდება. საგარანტიო თანხის გადახდა უპირობო გარანტიის დროს სრულიად დამოუკიდებელია პრინციპალს და ბენეფიციარს შორის არსებული ვალდებულების დარღვევის დადასტურებისაგან. რადგან ბენეფიციარს

<sup>97</sup> ხოტენაშვილი პ., სადისერტაციო ნაშრომი „ საბანკო გარანტიათა სამართლებრივი ასპექტები“, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2015 წელი, 44.

<sup>98</sup> იქვე, 45.

ევალეზა წარადგინოს მხოლოდ წერილობითი მოთხოვნა საგარანტიო თანხის გადახდის შესახებ და მიუთითოს პრინციპალის მიერ ნაკისრი ვალდებულების დარღვევის თაობაზე და განმარტოს რაში გამოიხატება ეს დარღვევა. სხვა რაიმე დოკუმენტების წარდგენა მას არ ევალეზა პრინციპალის მიერ ძირითადი ვალდებულების დარღვევის დასადასტურებლად.<sup>99</sup>

საერთაშორისო სავაჭრო პალატის მიერ შემუშავებული N458 და შემდგომში N758 უნიფიცირებული წესები მხარეებს აძლევს ალტერნატივის შესაძლებლობას უპირობო და პირობით გარანტიის არჩევას შორის.<sup>100</sup>

URDG N758-ის მე-15 მუხლით დადგენილია ბენეფიციარის მიერ გარანტისათვის გადახდაზე მოთხოვნის წარდგენის წესი, რომლის თანახმადაც გარანტიის მიხედვით, მოთხოვნა გამყარებული უნდა იქნეს სხვა დოკუმენტებით, რაც გარანტიაში გათვალისწინებული. მაგრამ ნებისმიერ შემთხვევაში - ბენეფიციარის იმ განცხადებით (უნდა იქნეს გამოყენებული), რომელშიც მიეთითება, თუ რაში გამოიხატა აპლიკანტის მიერ ვალდებულების დარღვევა ძირითადი ვალდებულების მიხედვით. ეს განმარტება შეიძლება მიეთითოს მოთხოვნაში ან, არსებობდეს ცალკე ხელმოწერილ დოკუმენტად, რაც თან უნდა ერთოდეს მოთხოვნას ან გაიგზავნოს ცალკე, მაგრამ მასში უნდა მიეთითოს მოცემული მოთხოვნა.<sup>101</sup>

მოთხოვნა დამასაბუთებელ განცხადებასთან მიმართებით ამ მუხლის მიხედვით გამოიყენება, თუ გარანტია პირდაპირ არ გამორიცხავს ამ მოთხოვნას.<sup>102</sup>

აღნიშნულიდან გამომდინარეობს, რომ დამასაბუთებელი განცხადება და წარმოსადგენი დოკუმენტები შესაძლებელია არც იქნეს წარდგენილი გარანტთან, მხარეებს შეუძლიათ გარანტიით პირდაპირ გამორიცხონ დამასაბუთებელი განცხადების წარდგენა.<sup>103</sup>

---

<sup>99</sup>ათაბეგაშვილი დ., სადისერტაციო ნაშრომი „საგარანტიო ვალდებულების დამოუკიდებლობის ხარისხი და მისი პირობითობის დაძლევის მიზანშეწონილობა“, ნიუ ვიქენ უნივერსიტეტის სამართლის სკოლა, 2018 წელი, 77-79.

<sup>100</sup>იქვე, 65.

<sup>101</sup>ჭიპაშვილი ნ., სადისერტაციო ნაშრომი „საბანკო გარანტია საქართველოს კანონმდებლობისა და საერთაშორისო უნიფიცირებული წესების მიხედვით“, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი, 2015 წელი, 146.

<sup>102</sup>იქვე

<sup>103</sup>იქვე, 148.

ICC-ის უპირობო გარანტიების შესახებ 1992 წლის N458 და 2009 წლის N758 უნიფიცირებული წესების დებულებები, რომლებიც ითვალისწინებენ ფორმალური მოთხოვნების დაცვის პირობებში, ყოველგვარი დოკუმენტაციის წარდგენის გარეშე საგარანტიო თანხის გადახდაზე შეთანხმების შესაძლებლობას, შეესაბამება საგარანტიო ურთიერთობის დამოუკიდებლობის კონცეფციას.<sup>104</sup>

საინტერესოა საქართველოს სამოქალაქო კოდექსით საგარანტიო ვალდებულების დამოუკიდებლობის გათვალისწინებასთან დაკავშირებით, თუ რამდენად იზიარებს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობა საერთაშორისო რეგულაციების დებულებებს, რეალურად რამდენად დამოუკიდებელია საგარანტიო ვალდებულება ძირითადი ვალდებულებისაგან გადახდის მექანიზმის მიხედვით.<sup>105</sup>

აღნიშნულთან დაკავშირებით არსებობს შეხედულება, რომ სამოქალაქო კოდექსის 879-ე მუხლის ანალიზიდან გამომდინარე საკმარისია საგარანტიო თანხის მისაღებად ბენეფიციარის წერილობითი მოთხოვნა. მოცემული მუხლი არ აწესებს დოკუმენტაციის პრეზენტაციის ვალდებულებას. შესაბამისად შესაძლებელია მხარეები შეთანხმდნენ უპირობო საბანკო გარანტიაზე. ასევე სამოქალაქო კოდექსის 887-ე მუხლის მე-2 ნაწილი ბენეფიციარს ანიჭებს უფლებას, საგარანტიო თანხა მიიღოს აუცილებლად, უპირობოდ, იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც გარანტი უარს განაცხადებს მისი მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე. კერძოდ, თუ მოთხოვნის დაკმაყოფილებამდე გარანტისთვის ცნობილი გახდება, რომ ბენეფიციარსა და პრინციპალს შორის ძირითადი ვალდებულება შესაბამის ნაწილში მთლიანად უკვე შესრულებულია, შეწყდა სხვა საფუძვლებით ან ბათილია, გარანტმა დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს ამის შესახებ ბენეფიციარსა და პრინციპალს. გარანტის მიერ ასეთი შეტყობინების შემდეგ მიღებული ბენეფიციარის ხელმეორე მოთხოვნა ექვემდებარება გარანტის მიერ დაკმაყოფილებას. ეს დებულება აშკარაა, რომ ბენეფიციარის ინტერესზეა მორგებული. ის ხაზს უსვავს

---

<sup>104</sup> ათაბეგაშვილი დ., სადისერტაციო ნაშრომი „ საგარანტიო ვალდებულების დამოუკიდებლობის ხარისხი და მისი პირობითობის დამლევის მიზანშეწონილობა“, ნიუ ვიქენ უნივერსიტეტის სამართლის სკოლა, 2018 წელი, 174.

<sup>105</sup> იქვე

საგარანტიო თანხის აუცილებლად მიღების ფაქტს, რაც ზოგადად უპირობო საბანკო გარანტიის სავიზიტო ბარათს წარმოადგენს.<sup>106</sup>

ასევე სამოქალაქო კოდექსი ითვალისწინებს დებულებებს, რომელთა შინაარსიდან გამომდინარე დოკუმენტაციის პრეზენტაციის ბუნდოვანი დებულებების გამო, საბანკო გარანტია შეიძლება განიმარტოს, როგორც პირობითად შესასრულებელი მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალება. მაგალითად ბუნდოვანება გვხვდება სსკ-ის 885-ე მუხლის 1-ელ ნაწილში, რომლის თანახმადაც საბანკო გარანტიით ბენეფიციარის მოთხოვნა ფულადი თანხის გადახდის შესახებ უნდა წარედგინოს გარანტს წერილობითი ფორმით, გარანტიაში მითითებული დოკუმენტების დართვით. მოთხოვნაში ან მის დანართში ბენეფიციარმა უნდა მიუთითოს, თუ რაში გამოიხატება პრინციპალის მიერ ძირითადი ვალდებულების დარღვევა, რომლის უზრუნველსაყოფადაც გაიცა გარანტია. აღნიშნული ჩანაწერიდან გამომდინარე იქმნება შთაბეჭდილება, რომ მოთხოვნის წარდგენა უნდა მოხდეს მხოლოდ დოკუმენტაციის პრეზენტაციასთან ერთად. გაურკვეველია, მხარეებს შეუძლიათ თუ არა შეთანხმდნენ დოკუმენტაციის გარეშე მოთხოვნის წარდგენის წესზე. მსგავსი ბუნდოვანებით ხასიათდება სსკ-ის 886-ე მუხლი, აღნიშნული ნორმიდან გამომდინარე ბენეფიციარის მოთხოვნა ასოცირდება მის წერილობით მოთხოვნაზე იმ დოკუმენტაციის დართვასთან, რომლითაც იგი ამტკიცებს პრინციპალის მიერ ძირითადი ვალდებულების დარღვევის ფაქტს. ხოლო გარანტს აკისრებს ვალდებულებას გონივრულ ვადაში, გონივრული მზრუნველობით განიხილოს და შეისწავლოს ბენეფიციარის მოთხოვნა მასზე თანდართულ დოკუმენტაციასთან ერთად. ხოლო რაც შეეხება სსკ-ის 887-ე მუხლს, რომელიც ბენეფიციარის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე გარანტის უარს უკავშირებს იმ შემთხვევას, როდესაც მოთხოვნა ან თანდართული დოკუმენტები არ შეესაბამება გარანტიის პირობებს. აღნიშნული ფორმულირება შეიძლება განიმარტოს როგორც

---

<sup>106</sup> ათაბეგაშვილი დ., სადისერტაციო ნაშრომი „ საგარანტიო ვალდებულების დამოუკიდებლობის ხარისხი და მისი პირობითობის დაძლევის მიზანშეწონილობა“ , ნიუ ვიქენ უნივერსიტეტის სამართლის სკოლა, 2018 წელი, 179.

უპირობოდ შესასრულებელ საბანკო გარანტიის, ასევე პირობითი საბანკო გარანტიის სასარგებლოდ.<sup>107</sup>

აღნიშნულიდან გამომდინარე, გაურკვეველია, საბანკო გარანტია, როგორც მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალება არის პირობითი, უპირობო თუ მათ შორის მხარეებს აქვთ არჩევანის საშუალება. ამიტომ არსებობს მოსაზრება, რომ სამოქალაქო კოდექსის იმპერატიულად განმარტებადი მუხლებისათვის დისპოზიციური ხასიათის მინიჭების. მიუხედავად იმ ფაქტისა, რომ მხარეები საკუთარი ნების გამოვლენით თავად თანხმდებიან საბანკო გარანტიის შესრულების წესზე, მის პირობით თუ უპირობო შინაარსზე, სამოქალაქო კოდექსის მუხლებში უმჯობესია ცალსახა კონკრეტიზაცია, სიცხადის შეტანა და დაინტერესებულ პირთათვის საბანკო გარანტიის შესაბამისი მოდელების შეთავაზება, რომელთა შორის მათ ექნებათ არჩევანის ალტერნატივა.<sup>108</sup>

საგარანტიო თანხის გადახდასთან დაკავშირებით საქართველოს უზენაესმა სასამართლომ განმარტა, რომ „საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 879-ე მუხლის მიხედვით საბანკო გარანტია ფულადი ვალდებულებაა, რომელიც ბენეფიციარს შესაძლებლობას ანიჭებს, მოვალის (პრინციპალის) მიერ ხელშეკრულებით გატვალისწინებული ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში, მიმართოს გარანტს წერილობით, მოითხოვოს გადახდა და მიიღოს მოთხოვნილი თანხა. მას ამისთვის არ სჭირდება წინასწარ მიმართვა რომელიმე იურისდიქციის ორგანოსთვის, თავისი მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად. ასეთი მიდგომა ბენეფიციარის უფლების დასაცავად, გამოწვეულია საქონლის/მომსახურების სწრაფად მზარდი ბრუნვით როგორც ქვეყნის შიდა, ასევე საერთაშორისო ბაზარზე, როცა ყველა მხარე დაინტერესებულია ხელშეკრულების სწრაფად შესრულებაში და მისი შეუსრულებლობის/არაჯეროვანი შესრულების გარემოება დადგება.“<sup>109</sup>

<sup>107</sup> ათაბეგაშვილი დ., სადისერტაციო ნაშრომი „საგარანტიო ვალდებულების დამოუკიდებლობის ხარისხი და მისი პირობითობის დაძლევის მიზანშეწონილობა“, ნიუ ვიქენ უნივერსიტეტის სამართლის სკოლა, 2018 წელი, 176-178.

<sup>108</sup> ათაბეგაშვილი დ., სადისერტაციო ნაშრომი „საგარანტიო ვალდებულების დამოუკიდებლობის ხარისხი და მისი პირობითობის დაძლევის მიზანშეწონილობა“, ნიუ ვიქენ უნივერსიტეტის სამართლის სკოლა, 2018 წელი, 180.

<sup>109</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 1 თებერვლის გადაწყვეტილება Nას-1038-999-2016.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ბენეფიციარს უფლება აქვს მიიღოს საგარანტიო თანხა მხოლოდ წერილობითი მიმართვის საფუძველზე, პრინციპალის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში და არ სჭირდება წინასწარ მიმართვა რომელიმე იურისდიქციის ორგანოსთვის თავისი მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად და რაიმე დოკუმენტების წარდგენა პრინციპალის მიერ ძირითადი ვალდებულების დარღვევის დასადასტურებლად.

ასევე უზენაესი სასამართლო განმარტავს „საბანკო გარანტიიდან გამომდინარე, გარანტის ვალდებულება ბენეფიციარის წინაშე გარანტის მხრიდან შესასრულებელია იმ მომენტიდან, როდესაც ბენეფიციარი გარანტს წარუდგენს მოთხოვნას ფულადი თანხის გადახდის შესახებ. მხარეები საბანკო გარანტიაში ჩვეულებრივ თვითონ განსაზღვრავენ იმ წინაპირობებს, რომელთა არსებობის შემთხვევაშიც ბენეფიციარი უფლებამოსილია მოითხოვოს გადახდა. მოთხოვნის წარდგენის ფორმალური წინაპირობების დაცვას განსაკუთრებული ყურადღება „პირველივე მოთხოვნისთანავე გადახდის გარანტიის“ დროს ექცევა, ვინაიდან ამ შემთხვევაში, ბენეფიციარს ფაქტობრივად შეუზღუდავი უფლებამოსილება გააჩნია, რისი კომპენსირებაც სწორედ ამ ფორმალურ პროცედურაზე აქცენტის გადატანით ხდება. ასევე ბენეფიციარმა მოთხოვნაში ან მის დანართში უნდა მიუთითოს პრინციპალის მიერ ძირითადი ვალდებულების დარღვევის ფაქტი და ის, თუ რაში გამოიხატება ეს დარღვევა. ბენეფიციარს არ ეკისრება იმის მტკიცება, ნამდვილად წარმოეშვა თუ არა საბანკო გარანტიით უზრუნველყოფილი ვალდებულებიდან მოთხოვნა პრინციპალის მიმართ.“<sup>110</sup>

ამ შემთხვევაში უზენაესმა სასამართლომ აღნიშნა, რომ ბენეფიციარს „პირველივე მოთხოვნისთანავე გადახდის გარანტიის“ დროს ფაქტობრივად შეუზღუდავი უფლებამოსილება გააჩნია. ბენეფიციარს არ ეკისრება საგარანტიო თანხის მიღებისთვის იმის მტკიცება, რომ პრინციპალმა არ შეასრულა ან არაჯეროვნად შეასრულა გარანტიით უზრუნველყოფილი ვალდებულება. ბენეფიციარმა მარტო უნდა მიუთითოს პრინციპალის მიერ ძირითადი ვალდებულების დარღვევის ფაქტი და ის, თუ რაში გამოიხატა ეს დარღვევა. პირველივე მოთხოვნისთანავე გადახდის გარანტიის დროს

<sup>110</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 1 თებერვლის გადაწყვეტილება Nას-1038-999-2016.

ბენეფიციარს შეუძლია მიიღოს საგარანტიო თანხა ძირითადი ვალდებულების დარღვევის/შეუსრულებლობის ფაქტის მტკიცებისგან დამოუკიდებლად.

### 3.2. გადახდა მესამე პირის მიერ გაცემული დოკუმენტის საფუძველზე

გარანტიები, რომლებიც გადახდისთვის ითხოვს მესამე მხარის მიერ გაცემული დოკუმენტების წარდგენას, ხშირად იწოდება პირობით გარანტიებად, პირველ მოთხოვნამდე გარანტიების საპირისპიროდ, რომლებსაც ხშირად „უპირობო“ გარანტიებს უწოდებენ. ამგვარი გარანტიებიც ორი განსხვავებული სახეობის არსებობს. პირველი - ეს არის გარანტიები, რომელიც გადახდისთვის მესამე მხარის მიერ გაცემული ხელშეკრულების შეუსრულებლობის დამამტკიცებელი დოკუმენტის წარდგენას მოითხოვს. არსებობს ასევე გარანტიებიც, რომლებიც ითვალისწინებს გადახდას თუკი წარდგენილი არ იქნება გარკვეული დოკუმენტები, რომლებიც დაადასტურებენ ხელშეკრულების პირობების შესრულების ფაქტს.<sup>111</sup>

ბენეფიციარს უფლება აქვს მიიღოს გადახდა, როდესაც წარადგენს გარანტიის ტექსტით დათქმულ დოკუმენტებს. მას არ სჭირდება პრინციპალის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობის დამადასტურებელი რაიმე სხვა მტკიცებულების წარდგენა. გარანტი ვერ წამოაყენებს რაიმე შესაგებელს ძირითადი ხელშეკრულებიდან გამომდინარე ბენეფიციართან ურთიერთობაში და ვერ მოითხოვს რაიმე დამატებით მტკიცებულებებს, რაც გარანტიის პირობებით არ არის გათვალისწინებული. გარანტის უფლებას და მოვალეობას შეადგენს წარმოდგენილი დოკუმენტების ფორმალური შესაბამისობის შემოწმება გარანტიის პირობებთან.<sup>112</sup>

<sup>111</sup>ხოტენაშვილი პ., სადისერტაციო ნაშრომი „საბანკო გარანტიათა სამართლებრივი ასპექტები“, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2015 წელი, 49.

<sup>112</sup>ხოტენაშვილი პ., სადისერტაციო ნაშრომი „საბანკო გარანტიათა სამართლებრივი ასპექტები“, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2015 წელი, 50.



გარანტიებში გადახდის პირობად შეიძლება დათქმული იყოს რამოდენიმე სხვადასხვა სახის დოკუმენტის წარდგენა. მაგალითად, სატენდერო გარანტია შეიძლება ითხოვდეს ნოტარიუსის მიერ გაცემულ ცნობას, რომ მომავალმა კონტრაქტორმა (სამუშაოს შემსრულებელმა) მიიღო სამუშაო (კონტრაქტის შეთავაზება), მაგრამ უარი თქვა ხელშეკრულებაზე ხელის მოწერაზე. შესრულების გარანტია შეიძლება ითვალისწინებდეს დამოუკიდებელი ინჟინერის მიერ გაცემული ცნობის წარდგენას, რომელიც დაადასტურებს სამშენებლო კონტრაქტის შეუსრულებლობას. დოკუმენტების წარდგენის საფუძველზე გადახდადი გარანტიების თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ ისინი მოითხოვს პრინციპალის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობას.<sup>113</sup>

ასევე შეიძლება ბენეფიციარს არ დასჭირდეს რაიმე დოკუმენტის წარდგენა თანხის მისაღებად, მაგრამ მისი უფლება საგარანტიო თანხის მიღებაზე წყდება, როგორც კი პრინციპალი წარმოადგენს მესამე მხარის მიერ გაცემულ დოკუმენტებს, რომლებიც ადასტურებენ პრინციპალის მიერ ხელშეკრულების შესრულებას.<sup>114</sup>

გარანტიები, რომლებიც გადახდისთვის ითხოვს მესამე მხარის მიერ გაცემული დოკუმენტების წარდგენას, პირველ მოთხოვნამდე გარანტიებთან შედარებით გაცილებით უკეთ იცავენ პრინციპალის ინტერესებს, ვინაიდან გადახდა არ მოხდება, ვიდრე წარდგენილი არ იქნება ვალდებულების დარღვევის რაიმე მტკიცებულება მაინც. შესაბამისად, ისინი ნაკლებად მომგებიანია ბენეფიციარისათვის.<sup>115</sup>

პირობითი გარანტიის დროს საგარანტიო თანხის გადახდის საკითხი ძირითად ურთიერთობაზე არაპირდაპირ, დოკუმენტარული შესაბამისობის მოთხოვნის ფარგლებში არის დამოკიდებული. ამ დამოკიდებულების ხარისხი თავად პირობითი საბანკო გარანტიის შინაარსით განისაზღვრება. ხოლო ამავდროულად დამოუკიდებელია იმ ნაწილში, რომელშიაც გარანტი მხოლოდ წარდგენილი დოკუმენტაციის შესწავლით შემოიფარგლება, არ იჭრება ძირითად სამართლებრივ ურთიერთობაში და არ იკვლევს, რამდენად შეესაბამება რეალობას, ბენეფიციარის მიერ

---

<sup>113</sup> ხოტენაშვილი პ., სადისერტაციო ნაშრომი „საბანკო გარანტიათა სამართლებრივი ასპექტები“, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2015 წელი, 51.

<sup>114</sup> იქვე, 52.

<sup>115</sup> იქვე

მისთვის წარდგენილი დოკუმენტაციით მითითებული, პრინციპალის მიერ ძირითადი ვალდებულების დარღვევის ფაქტი.<sup>116</sup>

### 3.3. გადახდა სასამართლო ან საარბიტრაჟო გადაწყვეტილების საფუძველზე

საგარანტიო თანხის გადახდისთვის საჭიროა ბენეფიციარის მიერ საარბიტრაჟო ან სასამართლო გადაწყვეტილების წარდგენა, რომელიც ადასტურებს პრინციპალის ვალდებულებას კრედიტორის (ბენეფიციარის) მიმართ. ასეთი გადაწყვეტილებები მიიღება საქმის არსებითი მოსმენის შემდეგ და ასახავს ფაქტებსა და მათ სამართლებრივ შეფასებას. გარანტი პროცესის დროს არ წარმოადგენს მხარეს. საერთაშორისო ვაჭრობაში ეს ტიპი საკმაოდ იშვიათია. ასეთ გარანტიებს ხშირად აიგივებენ ტრადიციულ თავდებობასთან და ისინი ხშირად არ აღიქმება როგორც გამოუკიდებელი გარანტიები. ამ შემთხვევაში დამოუკიდებლობის პრინციპი მნიშვნელოვნად ილახება ვინაიდან ყველა შესაგებელი, რომელიც კი შეიძლება მომდინარეობდეს ძირითადი კონტრაქტიდან, უკვე ფაქტიურად წამოყენებული იქნა მხარეების მიერ სასამართლოში არსებითი განხილვისას ან შეფასებულ იქნა არბიტრების მიერ. გარანტმა უნდა გადაიხადოს თუ ბენეფიციარი წარმოადგენს სასამართლო ან საარბიტრაჟო გადაწყვეტილებას, როგორც გათვალისწინებულია გარანტიის ტექსტში. გარანტი ამოწმებს მხოლოდ ბენეფიციარის მიერ მიწოდებულ დოკუმენტაციას. გარანტია შეიძლება აღწერდეს თუ რა შინაარსისა უნდა იყოს წარმოდგენილი სასამართლო

---

<sup>116</sup> ათაბეგაშვილი დ., სადისერტაციო ნაშრომი „ საგარანტიო ვალდებულების დამოუკიდებლობის ხარისხი და მისი პირობითობის დამღვევის მიზანშეწონილობა“ , ნიუ ვიქენ უნივერსიტეტის სამართლის სკოლა, 2018 წელი, 77.

გადაწყვეტილება, ასევე, რომელი ინსტანციის სასამართლოს უნდა ეკუთვნოდეს ის და რომ ის უნდა იყოს საბოლოო.<sup>117</sup>

## თავი 4. საბანკო გარანტიის ძალაში შესვლა, მოქმედების ფარგლები და შეწყვეტა

### 4.1. საბანკო გარანტიის ძალაში შესვლა

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის თანახმად, საბანკო გარანტია შედის ძალაში მისი გაცემის დღიდან, თუ გარანტიით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.<sup>118</sup> კანონის ასეთი მოთხოვნა სრულად შეესაბამება გარანტიის ბუნებასა და მიზანს, ვინაიდან ძალაში მყოფი გარანტიის წარდგენა ხშირად ძირითადი კონტრაქტის ძალაში შესვლის პირობად გვევლინება. ამდენად, სრულიად ლოგიკურია მხარეთა დაინტერესება, რომ საბანკო გარანტია ამოქმედდეს შემდგომისდაგვარად სწრაფად, რაც გაითვალისწინა კანონმდებელმა. ამასთან საგულისხმოა, რომ კოდექსის ეს ნორმა დისპოზიციური ხასიათისაა და მხარეებს შეუძლიათ გვერდი აუარონ მას ურთიერთშეთანხმების საფუძველზე. გარანტია შეიძლება ძალაში შევიდეს უფრო გვიანი თარიღიდან, თუკი ამას პირდაპირ გაითვალისწინებენ მხარეები გარანტიის ტექსტში.<sup>119</sup> ეროვნული კანონმდებლობის ეს ნორმები შეესაბამება საერთაშორისო კერძო სამართლის ნორმებს. საბანკო გარანტია საერთაშორისო კომერციის ინსტრუმენტია და

<sup>117</sup> ხოტენაშვილი პ., სადისერტაციო ნაშრომი „საბანკო გარანტიათა სამართლებრივი ასპექტები“, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2015 წელი, 53.

<sup>118</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 884.

<sup>119</sup> ხოტენაშვილი პ., საბანკო (დამოუკიდებელ) გარანტიათა ზოგიერთი საკითხი ეროვნული კანონმდებლობისა და საერთაშორისო კერძო სამართლის მიხედვით, ქართული სამართლის მიმოხილვა, #2-3, 2003 წელი, 338.

ქართულმა კანონმდებლობამ საერთაშორისო კერძო სამართლის რეცეფცია მოახდინა. URDG 758-ის მე-4 მუხლის თანახმად, გარანტია გაცემულად ითვლება მისი გაგზავნის მომენტიდან. ბენეფიციარი უფლებამოსილია მოთხოვნა წააყენოს გარანტიის გაცემის მომენტიდან ან უფრო გვიან პერიოდში კონკრეტულ თარიღამდე, ან იმ მოვლენის დადგომამდე, რაც გარანტიაშია დათქმული.<sup>120</sup>

საბანკო გარანტიის მოქმედების ვადა - ეს ის ვადაა, რომლის განმავლობაშიც არსებობს ბენეფიციარის უფლება მოთხოვნის წაყენების თაობაზე. საბანკო გარანტიის მოქმედების ვადა აღმკვეთ ხასიათს ატარებს და არ შეიძლება აღდგენილ იქნეს სასამართლოს მიერ მისი გაშვების შემთხვევაში.<sup>121</sup> გარანტიის მოქმედების ვადა აღნიშნული უნდა იყოს გარანტსა და პრინციპალს შორის შეთანხმებაში. მასზე მიეთითება თვით საბანკო გარანტიაშიც. მაგალითად, გარანტია შეიძლება გაიცეს ერთი, ორი ან სამი წლით. გარანტიაში შეიძლება მითითებულ იქნეს რომელიმე წლის კონკრეტული თარიღი, რომლის დადგომამდეც მოქმედებს გარანტია. გარანტიის მოქმედების დაწყების ვადა, ჩვეულებრივ, მისი გაცემის დღეს ემთხვევა. მაგრამ შესაძლებელია გარანტი და პრინციპალი სპეციალურად შეთანხმდნენ საბანკო გარანტიის მოქმედების დაწყების სხვა ვადაზე, შესაბამისად საბანკო გარანტია ძალაში შევა მასში მითითებული დროიდან.<sup>122</sup>

საბანკო გარანტია გარკვეული ვადით გაიცემა, რომელიც მითითებულია თვით ამ ვალდებულებაში. ეს ვადა შეიძლება განისაზღვროს გარკვეული თარიღის მითითებით, რომლის შემდგომ საბანკო გარანტია წყვეტს თავის მოქმედებას, ანდა გარანტიის გაცემის მომენტიდან მოყოლებული მისი მოქმედების ვადის მითითებით. ვადა, როგორც წესი, თვეობით განისაზღვრება. ბენეფიციარის მოთხოვნები წარდგენილი უნდა იქნეს იმ ვადაში, რომელიც არ შეიძლება აღდგენილ იქნეს და მისი გაშვება ვალდებულების შეწყვეტის საფუძველია.<sup>123</sup>

<sup>120</sup> ჭიპაშვილი ნ., სადისერტაციო ნაშრომი „ საბანკო გარანტია საქართველოს კანონმდებლობისა და საერთაშორისო უნიფიცირებული წესების მიხედვით“, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი, 2015 წელი, 131-132.

<sup>121</sup> გაბისონია ზ., საბანკო სამართალი, თბილისი, 2015, 252.

<sup>122</sup> ჭანტურია ლ., ზოიძე ბ., ნინიძე თ., შენგელია რ., ხეცურიანი ჯ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეოთხე, ტომი II, თბილისი, 2001, 220-221.

<sup>123</sup> Сергеев А. П., Толстой Ю. К. Гражданское Право, Москва, „Проспект“ 1997, часть 1, ст. 583.

საბანკო გარანტიის დამოუკიდებლობა ძირითადი ვალდებულებისაგან იმაშიც გამოიხატება, რომ გარანტიას აქვს საკუთარი ვადები, რომლებიც არ არის დამოკიდებული უზრუნველყოფილი ხელშეკრულების მოქმედების ვადებზე. საბანკო გარანტიის ვადა შეიძლება იყოს იმაზე მოკლე, ვიდრე ძირითადი ხელშეკრულების ვადა. ამ ვადის გასვლის შემდეგ საბანკო გარანტია ბენეფიციარისთვის უვარგისი ხდება, რადგან ბენეფიციარის მოთხოვნა უნდა წარედგინოს გარანტს გარანტიით განსაზღვრული იმ ვადის დამთავრებამდე, რა ვადითაც გაიცა იგი.<sup>124</sup>

უზრუნველყოფილ ხელშეკრულებაში მითითებული ვადა ავტომატურად არ განსაზღვრავს გარანტიის მოქმედების ვადას, თუკი ამაზე პირდაპირ არ არის მითითება გარანტიის ხელშეკრულებაში. განსაკუთრებით ეხება ეს იმ შემთხვევას, როცა გარანტიის ხელშეკრულებაში მითითებულია „თანხის სრულად გადახდის დროით“ . ეს იმას ნიშნავს, რომ უზრუნველყოფილი ხელშეკრულების ვადის გასვლის მიუხედავად გარანტმა უნდა შეასრულოს ნაკისრი ვალდებულება, თუკი „თანხა სრულად არ არის გადახდილი“, ვინაიდან გარანტიის მოქმედების ვადა სწორედ გადახდის განხორციელებით განისაზღვრა და არა ძირითადი ხელშეკრულების მოქმედების ვადით.<sup>125</sup>

უზენაესმა სასამართლომ განმარტა, რომ უზრუნველყოფილი ხელშეკრულების ვადის გაგრძელებით ავტომატურად არ გაგრძელდება საბანკო გარანტიის ვადა. მაშინაც კი თუ გარანტიაში განსაზღვრულია გარანტიის მოქმედების ვადად თვით ბენეფიციარსა და პრინციპალს შორის არსებული ხელშეკრულების მოქმედების ვადა. მოცემულ შემთხვევაში მხარეებმა გამოხატეს ნება, გარანტიით განსაზღვრული ვადით მოქმედებაზე და ამ პირობის შეცვლა არ შეიძლება დამოკიდებული იყოს სხვა რაიმე გარეგან ფაქტორზე, რადგან საბანკო გარანტიის გაცემა - გარიგების დადება გარკვეული პირობებით მხოლოდ გარანტის ნამდვილ ნებაზეა დამოკიდებული. ამიტომ გარანტიის გაგრძელება ახალი ვადით გარანტის ნებისა და მისი თანხმობის გარეშე დაუშვებელია.<sup>126</sup>

<sup>124</sup>ჭანტურია ლ., კრედიტის უზრუნველყოფის სამართალი, თბილისი, 2012, 217.

<sup>125</sup>ჭანტურია ლ. , კრედიტის უზრუნველყოფის სამართალი, თბილისი, 2012, 218.

<sup>126</sup>საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2009 წლის 20 ოქტომბრის გადაწყვეტილება Nას-562-871-09.

სუსგ-ის თანახმად, საბანკო გარანტიის მოქმედების ვადაში უნდა წარადგინოს ბენეფიციარმა მოთხოვნა საგარანტიო თანხის ანაზღაურების შესახებ და ბენეფიციარის გამოვლენილი ნება ნამდვილად ჩაითვლება გარანტის მიერ მისი მიღების შემდეგ, ანუ როდესაც გარანტი ობიექტურად მიიღებს ბენეფიციარის მოთხოვნას. შესაბამისად აუცილებელია გარანტიის მოქმედების ვადაში ჩაბარდეს გარანტს ბენეფიციარის მოთხოვნა, რათა ბენეფიციარის მიერ გამოვლენილი ნება გარანტიის მოქმედების ვადაში გახდეს ნამდვილი. მაგ: ბენეფიციარმა წერილობითი მოთხოვნა გარანტს გაუგზავნა გარანტიის ნოქმედების ბოლო დღეს ფოსტის მეშვეობით, საგარანტიო თანხის გადახდის შესახებ მოთხოვნა გარანტს ჩაბარდა გარანტიის ვადის გასვლიდან მესამე დღეს. შესაბამისად, ბენეფიციარმა ნება გამოხატა გარანტიის მოქმედების ვადაში, მაგრამ ბენეფიციარის ნება ნამდვილად იქცა გარანტიის ვადის გასვლის შემდეგ, მაშინ, როდესაც ობიექტურად მიუვიდა გარანტს. შესაბამისად ბენეფიციარის მოთხოვნა საბანკო გარანტიით გათვალისწინებული თანხის ანაზღაურების შესახებ არ დაკმაყოფილდა.<sup>127</sup>

## 4.2. საბანკო გარანტიის მოქმედების ფარგლები

საბანკო გარანტიის მოქმედების ფარგლების სწორად გასაცნობიერებლად მეტად საინტერესო და მნიშვნელოვანია საბანკო გარანტიის გადაცემადობის საკითხის გარკვევა. <sup>128</sup> 883-ე მუხლის შესაბამისად „საბანკო გარანტიიდან გამომდინარე ბენეფიციარის კუთვნილი მოთხოვნის უფლება გარანტიის მიმართ არ შეიძლება გადაეცეს სხვა პირს, თუ გარანტიით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.“ <sup>129</sup> ბენეფიციარის მიმართ დაწესებული ეს შეზღუდვა საბანკო გარანტიის

<sup>127</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 1 ნოემბრის გადაწყვეტილება Nას-1595-1498-2012.

<sup>128</sup> ხოტენაშვილი პ., საბანკო (დამოუკიდებელ) გარანტიათა ზოგიერთი საკითხი ეროვნული კანონმდებლობისა და საერთაშორისო კერძო სამართლის მიხედვით, ქართული სამართლის მიმოხილვა, # 2-3, 2003 წელი, 342.

<sup>129</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 883.

სპეციფიკურობითაა განპირობებული. როცა გარანტის მიმართ მოთხოვნის უფლება უჩნდება ბენეფიციარს, იგი ამ დროს, ჩვეულებრივ, კრედიტორის სტატუსს იძენს. მას შეუძლია გარანტს მოსთხოვოს იმ ვალდებულების შესრულება, რაც არ შეასრულა პრინციპალმა, მაგრამ ჩვეულებრივი კრედიტორებისაგან განსხვავებით, კრედიტორ - ბენეფიციარი არ არის უფლებამოსილი მოთხოვნის უფლება სხვა პირს დაუთმოს. იგულისხმება, რომ გარანტი შეიძლება თანახმა არ იყოს სხვა პირისათვის პრინციპალის ვალდებულების შესრულებაზე და, გარდა ამისა, საბანკო გარანტია კონკრეტულ პირებს შორის არსებული ძირითადი ვალდებულების შესრულებას ემსახურება. აქედან გამომდინარე, ბენეფიციარის მიერ გარანტის მიმართ მოთხოვნის სხვა პირისათვის გადაცემა იმ შემთხვევაში იქნება შესაძლებელი, თუ საბანკო გარანტიით ასეთი რამ შესაძლებლადაა მიჩნეული.<sup>130</sup>

ასეთი პოზიცია აბსოლუტურად მართებულად უნდა ჩაითვალოს იმ მომენტის აქცენტრებით, რომ საბანკო გარანტია პირველ რიგში უზრუნველყოფის ღონისძიებაა. იგი ემსახურება კონკრეტული ვალდებულების უზრუნველყოფას, რაც თვით საგარანტიო წერილის ტექსტში მიეთითება და, შესაბამისად მისი თავისუფლად გადაცემადობა ვერ იქნება მისი მიზნებისა და იურიდიული ბუნების შესაბამისი. მიუხედავად ამისა, კანონის აღნიშნული ნორმა დიპოზიციური ხასიათისაა და მხარეებს უფლება აქვთ, თვით საბანკო გარანტიაში გაითვალისწინონ მოთხოვნის უფლების ბენეფიციარისაგან სხვა პირზე გადაცემის შესაძლებლობა. პრაქტიკაში ეს შეიძლება განხორციელდეს, მაგალითად, იმ შემთხვევაში, თუკი განხორციელდება ძირითად ვალდებულებაში კრედიტორის შეცვლა. ამ შემთხვევაში შესაძლებელია შეტანილ იქნეს ცვლილება თვით საგარანტიო წერილში, საგარანტიო ურთიერთობის მხარეთა შეთანხმებით. მსგავს ნორმებს შეიცავს ასევე საერთაშორისო კერძო სამართალიც, კერძოდ, URDG -ის მე-4 მუხლის შესაბამისად, ბენეფიციარის მოთხოვნის უფლება არ ექვემდებარება გადაცემას, თუკი ეს პირდაპირ არ არის გათვალისწინებული გარანტიაში ან მის დამატებებში. გაეროს კონვენციის მე-9 მუხლი ასევე აცხადებს, რომ

<sup>130</sup>ჭანტურია ლ., ზოიძე ბ., ნინიძე თ., შენგელია რ., ხეცურიანი ჯ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეოთხე, ტომი II, თბილისი, 2001, 220.

ბენეფიციარის უფლებები შეიძლება გადაცემულ იქნეს მხოლოდ მაშინ და იმ მოცულობით როგორც ეს ვალდებულებაშია (გარანტიაშია) განსაზღვრული.<sup>131</sup>

საბანკო გარანტიის ინსტიტუტის ფუნქციონირებისათვის ძალზედ დიდი მნიშვნელობა ენიჭება მის სტაბილურობას, ანუ იმას, თუ რამდენად დაზღვეულია გარანტიის მიმღები (ბენეფიციარი) იმისგან, რომ ამა თუ იმ სუბიექტური თუ ობიექტური მიზეზების გამო გარანტია ვადაზე ადრე არ შეწყვეტს მოქმედებას.<sup>132</sup>

მართალია, საბანკო გარანტია საბანკო დაწესებულებასა და ბენეფიციარს შორის შეთანხმების საფუძველზე გაიცემა, მაგრამ ეს სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ გარანტს უფლება ქონდეს ნებისმიერ შემთხვევაში უარი თქვას ნაკისრ ვალდებულებაზე და ბენეფიციარს არ გადაუხადოს პრინციპალის მხრივ გადასახდელი თანხა. აქედან გამომდინარე, ჩვეულებრივ, არ არსებობს საბანკო გარანტიის გამოთხოვის შესაძლებლობა. გარანტის ასეთი შეზღუდვა ამ ინსტიტუტის სიმყარისათვის ზრუნვის მაჩვენებელია. გარანტი რადგან ნებაყოფლობით ერთვება ბენეფიციარსა და პრინციპალს შორის ურთიერთობაში, მან ბოლომდე უნდა ზიდოს ნაკისრი ვალდებულება. ამ შემთხვევაში არ იგულისხმება გარანტის ვალდებულების შეწყვეტის კანონით გათვალისწინებული საფუძველები. გამონაკლის შემთხვევაში, როცა გარანტი და პრინციპალი ამის თაობაზე სპეციალურად შეთანხმდებიან, შესაძლებელია საბანკო გარანტიის უკან გამოთხოვა. გარანტს შეუძლია პრინციპალთან დადებულ ხელშეკრულებაში კონკრეტულად მიუთითოს იმ საფუძველებზე, რაც მას უფლებას მისცემს პრინციპალის წინაშე დააყენოს საკითხი ნაკისრ ვალდებულებაზე უარის თქმის შესახებ.<sup>133</sup>

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 882-ე მუხლით საბანკო გარანტია შეიძლება იყოს გამოთხოვადი ან გამოუთხოვადი, თუმცა აღნიშნულს საერთაშორისო წესები არ უშვებს და მხოლოდ გამოუთხოვადი გარანტიის ტიპია დადგენილი იმპერატიულად. ეს ნიშნავს, რომ საერთაშორისო ტიპის გარანტია ვერ იქნება გამოთხოვადი და მხოლოდ

<sup>131</sup> ხოტენაშვილი პ., საბანკო (დამოუკიდებელ) გარანტიათა ზოგიერთი საკითხი ეროვნული კანონმდებლობისა და საერთაშორისო კერძო სამართლის მიხედვით, ქართული სამართლის მიმოხილვა, #2-3, 2003 წელი, 344.

<sup>132</sup> ხოტენაშვილი პ., სადისერტაციო ნაშრომი „საბანკო გარანტიათა სამართლებრივი ასპექტები“, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2015 წელი, 93.

<sup>133</sup> ჭანტურია ლ., ზოიძე ბ., ნინიძე თ., შენგელია რ., ხეცურიანი ჯ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეოთხე, ტომი II, თბილისი, 2001, 219.



გამოუთხოვადი შეიძლება იყოს. ირკვევა, რომ გარანტიის გამოთხოვა მხოლოდ ეროვნული კანონმდებლობის პრიორიტეტად რჩება, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ პრაქტიკაში ვერც საქართველოში მოიპოვა მხარდაჭერა „გამოთხოვადმა“ საბანკო გარანტიამ და ბენეფიციარები მხოლოდ გამოუთხოვად გარანტიას ითხოვენ.<sup>134</sup>

საბანკო გარანტია შეიძლება იყოს გამოთხოვადი და გამოუთხოვადი. გამოთხოვადი საბანკო გარანტია გამონაკლისია საერთო წესიდან. გარანტი და პრინციპალი საგანგებოდ უნდა შეთანხმდნენ ამის თაობაზე. თუკი საბანკო გარანტია გამოთხოვადია, მისი განხორციელება მხოლოდ გარანტს შეუძლია. თუ გარანტი გადაწყვეტს საბანკო გარანტიის გამოთხოვას, მაშინ იგი ნამდვილი იქნება იმ მომენტიდან, როდესაც ბენეფიციარი მიიღებს გარანტის წერილობით განცხადებას საბანკო გარანტიის გამოთხოვის თაობაზე. საბანკო გარანტიის გამოთხოვის მომენტიდან წყდება გარანტიიდან გამომდინარე გარანტის ვალდებულება. ამ მომენტამდე ბენეფიციარს შეუძლია მიმართოს გარანტს და საბანკო გარანტიიდან გამომდინარე კუთვნილი მოთხოვნა დაიკმაყოფილოს. თუ გარანტს არ გამოუყენებია გამოთხოვის უფლება, ხოლო ბენეფიციარი მოითხოვს საბანკო გარანტიით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებას, გარანტის გამოთხოვის უფლება უქმდება. თუკი ბენეფიციარის მოთხოვნა უფრო ადრე მივა გარანტთან, ვიდრე გარანტიის გამოთხოვის განცხადება - ბენეფიციართან, გარანტის ვალდებულება ბენეფიციარის წინაშე შეწყვეტილად ვერ ჩაითვლება.<sup>135</sup>

---

<sup>134</sup> ჭიპაშვილი ნ., სადისერტაციო ნაშრომი „საბანკო გარანტია საქართველოს კანონმდებლობისა და საერთაშორისო უნიფიცირებული წესების მიხედვით“, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი, 2015 წელი, 132.

<sup>135</sup> ძლიერიშვილი ზ., ცერცვაძე გ., რობაქიძე ი., სვანაძე გ., ცერცვაძე ლ., ჯანაშია ლ., სახელმეკრულებო სამართალი, თბილისი, 2014, 578-579.

### 4.3. საბანკო გარანტიის შეწყვეტა

მართალია, საბანკო გარანტიით გარანტი კისრულობს ვალდებულებას გადაუხადოს ბენეფიციარს ფულადი თანხა პრინციპალის მაგივრად, თუმცა ეს პასუხისმგებლობა მუდმივი არ არის. საბანკო გარანტიიდან გამომდინარე, გარანტის პასუხისმგებლობა შესაძლებელია სხვადასხვა საფუძველით შეწყდეს. კანონმდებელი 889-ე მუხლში ადგენს იმ საფუძველებს, რომელთა არსებობის შემთხვევაშიც საბანკო გარანტიიდან გამომდინარე გარანტის პასუხისმგებლობა შეწყდება.<sup>136</sup>

კანონი არა მარტო იმ შემთხვევებს განსაზღვრავს, როცა გარანტმა უარი უნდა უთხრას ბენეფიციარს თავისი მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე, არამედ იმასაც, თუ რა შემთხვევაში წყდება ბენეფიციარის მიმართ უკვე წარმოშობილი ვალდებულება. ესენია: ბენეფიციარისათვის საგარანტიო თანხის გადახდა, საგარანტიო ვადის გასვლა და ბენეფიციარის მიერ თავის უფლებებზე უარის თქმა გარანტის სასარგებლოდ.<sup>137</sup>

საბანკო გარანტიიდან გამომდინარე, გარანტის ვალდებულება ბენეფიციარის წინაშე შეწყვეტილად ჩაითვლება მაშინ, როცა გარანტი დააკმაყოფილებს ბენეფიციარის მიერ ჯეროვანი წესით წარდგენილ მოთხოვნას და სრულად გადაუხდის მას საბანკო გარანტიით გათვალისწინებულ თანხას. როგორც წესი, საბანკო გარანტიიდან გამომდინარე, ბენეფიციარს რაიმე ვალდებულება გარანტის წინაშე არ ეკისრება. თუმცა, საბანკო გარანტიის ტექსტი ხშირად შეიცავს მითითებას ბენეფიციარის ვალდებულებაზე გარანტის მიერ მისი მოთხოვნის დაკმაყოფილების შემდეგ საბანკო გარანტიის უკან დაბრუნების თაობაზე.<sup>138</sup>

ბენეფიციარის მიერ გარანტიიდან გამომდინარე უფლებებზე უარის თქმა და მისი გარანტისთვის დაბრუნება გარანტის ვალდებულების შეწყვეტის ერთ-ერთი საფუძველია. აღნიშნულ შემთხვევაში გარანტის თანხმობა არ არის საჭირო. ბენეფიციარმა თავისი ნება წერილობით უნდა გამოხატოს საგარანტიო ვალდებულების

<sup>136</sup>ძლიერიშვილი ზ., ცერცვაძე გ., რობაქიძე ი., სვანაძე გ., ცერცვაძე ლ., ჯანაშია ლ., სახელმწიფო სამართალი, თბილისი, 2014, 588.

<sup>137</sup>ჭანტურია ლ., ზოიძე ბ., ნინიძე თ., შენგელია რ., ხეცურიანი ჯ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეოთხე, ტომი II, თბილისი, 2001, 226.

<sup>138</sup>ძლიერიშვილი ზ., ცერცვაძე გ., რობაქიძე ი., სვანაძე გ., ცერცვაძე ლ., ჯანაშია ლ., სახელმწიფო სამართალი, თბილისი, 2014, 588.

შეწყვეტის შესახებ. სხვა შემთხვევაში გარანტიის ვალდებულება ბენეფიციარის მიმართ არ წყდება. საგარანტიო ვალდებულების შეწყვეტის საფუძველს არ წარმოადგენს თუნდაც ძირითადი ვალდებულების შეწყვეტა, რადგან მას დამოუკიდებელი ხასიათი გააჩნია.<sup>139</sup>

ჩვეულებრივ, გარანტი საბანკო გარანტიას განსაზღვრული ვადით გასცემს. საბანკო გარანტიაში მითითებული ვადის გასვლის შემდეგ, გარანტიიდან გამომდინარე, გარანტიის ვალდებულება ბენეფიციარის მიმართ წყდება. საბანკო გარანტიაში საგანგებო დათქმის გაკეთება ამის თაობაზე არ არის აუცილებელი. ბენეფიციარის მიერ დაგვიანებით წარდგენილი მოთხოვნა არ უნდა დაკმაყოფილდეს.<sup>140</sup> გარანტიის შეწყვეტის საფუძველების წარმოშობისას გარანტმა ამის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს პრინციპალს. შეტყობინების შემდეგ გარანტსა და პრინციპალს შორის არსებული შეთანხმების გადასინჯვა უნდა მოხდეს.<sup>141</sup>

## დასკვნა

საბანკო გარანტიის, როგორც მოთხოვნის უზრუნველყოფის დამოუკიდებელი საშუალების გამოყენების აქტუალურობას განაპირობებს მისი, როგორც მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალების არადოკუმენტარული ხასიათი და ძირითადი ვალდებულებისაგან დამოუკიდებლობის შესაძლებლობა. საბანკო გარანტიათა უმთავრესი მახასიათებელი მათი დამოუკიდებლობა და განცალკევებულობაა. ის დამოუკიდებელია, როგორც ძირითადი ხელშეკრულებისაგან პრინციპალსა და

---

<sup>139</sup>ჭანტურია ლ., ზოიძე ბ., ნინიძე თ., შენგელია რ., ხეცურიანი ჯ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეოთხე, ტომი II, თბილისი, 2001, 226.

<sup>140</sup>ძლიერიშვილი ზ., ცერცვაძე გ., რობაქიძე ი., სვანაძე გ., ცერცვაძე ლ., ჯანაშია ლ., სახელშეკრულებო სამართალი, თბილისი, 2014, 588.

<sup>141</sup>ჭანტურია ლ., ზოიძე ბ., ნინიძე თ., შენგელია რ., ხეცურიანი ჯ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეოთხე, ტომი II, თბილისი, 2001, 226.

ბენეფიციარს შორის, ასევე გარანტიის გაცემის თაობაზე ხელშეკრულებისაგანაც ბენეფიციარსა და გარანტს შორის. საბანკო გარანტიის საფუძველზე ერთმანეთისაგან სრულიად დამოუკიდებელი, მაგრამ ურთიერთდაკავშირებული ვალდებულებები წარმოიშობა - პრინციპალსა და ბენეფიციარს შორის ძირითადი ვალდებულებითი ურთიერთობა, გარანტსა და ბენეფიციარს შორის საგარანტიო ურთიერთობა ძირითადი ურთიერთობის უზრუნველყოფის მიზნით და პრინციპალსა და გარანტს შორის ურთიერთობა საბანკო გარანტიის გაცემის თაობაზე. საგარანტიო ვალდებულების დანიშნულებას წარმოადგენს ძირითადი ვალდებულების უზრუნველყოფა, ხოლო საბანკო გარანტიის გაცემის შესახებ ხელშეკრულება ამ მიზნით მათ კავშირს განაპირობებს. მოცემული სამივე სამართლებრივი ურთიერთობა ერთმანეთთან უშუალო ჯაჭვურ კავშირშია და შედეგად, საგარანტიო ურთიერთობას წარმოშობს. სამივე სამართლებრივი ურთიერთობის ეტაპობრივი ფორმულირება, შედეგად წარმოშობს სხვა ვალდებულებებისაგან დამოუკიდებელ საგარანტიო ვალდებულებას.

საბანკო გარანტიებში დიდი მნიშვნელობა ენიჭება გადახდის მექანიზმებს, ვინაიდან გადახდის ამა თუ იმ მექანიზმის გამოყენება განსაზღვრავს ამა თუ იმ კონკრეტული გარანტიის ნამდვილ ფასეულობას ბენეფიციარისათვის. ბენეფიციარს აქვს გარანტის მიმართ ძირითადი ვალდებულების დარღვევის დოკუმენტარულად დამტკიცების ტვირთი თუ საგარანტიო თანხის მისაღებად საკმარისია ფორმალური წინაპირობების დაცვით წარდგენილი წერილობითი მოთხოვნა. შესაბამისად საგარანტიო ვალდებულების დამოუკიდებლობის ხარისხს განაპირობებს ის გარემოება, თუ როგორი გადახდის მექანიზმზე შეთანხმდებიან მხარეები.

საბანკო გარანტიების სფეროში ქართული კანონმდებლობა ძირითადად ემყარება საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის ნორმებს, თუმცა ახასიათებს გარკვეული ხარვეზები და ბუნდოვანება. კერძოდ:

- 1) კანონმდებლობა ერთმანეთისაგან არ მიჯნავს უპირობო და დოკუმენტების საფუძველზე გადახდად გარანტიებს;
- 2) სამოქალაქო კოდექსით აქცენტი იმპერატიულად კეთდება ერთის მხრივ პირობით საბანკო გარანტიაზე, ხოლო მეორე მხრივ უპირობო საბანკო გარანტიაზე. ეს ფაქტი კი

კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს დისპოზიციურობას, მხარეთა არჩევანის თავისუფლებას პირობით და უპირობო გარანტიათა შორის;

3) მიზანშეწონილია გარკვეული ცვლილებების შეტანა არსებულ ნორმატიულ ბაზაში მისი საერთაშორისო კერძო სამართლის ნორმებთან კიდევ უფრო დაახლოების თვალსაზრისით, განსაკუთრებით პირველ მოთხოვნამდე გარანტიებისა და დოკუმენტების საფუძველზე გადახდადი გარანტიების გამიჯვნის თვალსაზრისით;

4) მიუხედავად იმ ფაქტისა, რომ საბანკო გარანტიის შესრულების წესზე, მის პირობით თუ უპირობო შინაარსზე, მხარეები საკუთარი ნების გამოვლენით თავად თანხმდებიან, სამოქალაქო კოდექსის მუხლებში უმჯობესია ცალსახა კონკრეტიზაცია, სიცხადის შეტანა და დაინტერესებულ პირთათვის საბანკო გარანტიის შესაბამისი მოდელების შეთავაზება, რომელთა შორის მათ ექნებათ არჩევანის ალტერნატივა.

## გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა

ქართულ ენაზე:

1. ახვლედიანი ზ., ვალდებულებითი სამართალი, გამომცემლობა „სამართალი“, თბილისი, 1999.
2. ჭანტურია ლ., კრედიტის უზრუნველყოფის სამართალი, გამომცემლობა „სამართალი“, თბილისი, 2015.
3. გაბისონია ზ., საბანკო სამართალი, გამომცემლობა „იურისტების სამყარო“, თბილისი, 2015.
4. ჭანტურია ლ., ზოიძე ბ., ნინიძე თ., შენგელია რ., ხეცურიანი ჯ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეოთხე, ტომი II, გამომცემლობა „სამართალი“, თბილისი, 2001.
5. შენგელია რ., შენგელია ე., საბანკო სამართლის საფუძვლები, გამომცემლობა „სამართალი“, თბილისი, 2014.
6. ძლიერიშვილი ზ., ცერცვაძე გ., რობაქიძე ი., სვანაძე გ., ცერცვაძე ლ., ჯანაშია ლ., სახელშეკრულებო სამართალი, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2014.
7. თოდუა მ., ვილემსი ჰ., ვალდებულებითი სამართალი, რედაქტირებული ხათუნა ყვირილაშვილის მიერ, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, თბილისი, 2006.
8. კროპკოლერი ი., გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, სასწავლო კომენტარი, მე-13 გადამუშავებული გამოცემა, რედაქტირებული ეთერ ჩაჩანიძე, თორნიკე დარჯანია, ზურაბ ჭეჭელაშვილის მიერ, თბილისი, 2014.
9. ლიპარტია ნ., საბანკო გარანტიის სამართლებრივი ბუნების მიმოხილვა დამოუკიდებლობისა და „ზუსტი შესაბამისობის“ პრინციპებთან მიმართებით, სამართლის ჟურნალი, N2, (თსუ, იურიდიული ფაკულტეტი), 2017.
10. ჭიკაშვილი ნ., საბანკო გარანტია საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, აკადემიური მაცნე, სამართალი I, (გრიგოლ რობაქიძის სახელობის გამომცემლობა) თბილისი, 2012.

11. ხოტენაშვილი პ., საბანკო (დამოუკიდებელ) გარანტიათა ზოგიერთი საკითხი ეროვნული კანონმდებლობისა და საერთაშორისო კერძო სამართლის მიხედვით, ქართული სამართლის მიმოხილვა, 6/2003\_ 2/3.
12. ჭიპაშვილი ნ., სადისერტაციო ნაშრომი „საბანკო გარანტია საქართველოს კანონმდებლობისა და საერთაშორისო უნიფიცირებული წესების მიხედვით“, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი, თბილისი, 2015.
13. ათაბეგაშვილი დ., სადისერტაციო ნაშრომი „საგარანტიო ვალდებულების დამოუკიდებლობის ხარისხი და მისი პირობითობის დაძლევის მიზანშეწონილობა“, ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის სამართლის სკოლა, თბილისი, 2018.
14. ხოტენაშვილი პ., სადისერტაციო ნაშრომი „საბანკო გარანტიათა სამართლებრივი ასპექტები“, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, 2015.

ნორმატიული მასალა:

1. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი - მიღების თარიღი: 26/06/1997.
2. საქართველოს კანონი „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ - მიღების თარიღი: 23/02/1996
3. საქართველოს კანონი სახელმწიფო შესყიდვების შესახებ - მიღების თარიღი: 20/04/2005.
4. საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სამოქალაქო სამართლის კოდექსი (ძალადაკარგული)

სასამართლოს სადაწყვეტილებები:

1. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2009 წლის 20 ოქტომბრის გადაწყვეტილება Nას-562-871-09.
2. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2009 წლის 17 მარტის გადაწყვეტილება Nას-781-996-08.

3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 25 სექტემბრის განჩინება Nას-749-709-2015.
4. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 1 თებერვლის გადაწყვეტილება Nას-1038-999-2016.
5. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 1 ნოემბრის გადაწყვეტილება Nას- 1595-1498-2012.

უცხოურ ენებზე:

1. Bertrams R., Bank Guarantees in International Trade,. Hague, Kluwer Law International 1996 (second edition).
- 2.Kelly- Louw M., Limiting Exceptions to the Autonomy Principle of Demand Guarantees and Letters of Credit, 2008.
- 3.Ерпилева Н. Ю.,„Международное Банковские право”, Москва, изд.,„Форум”, 1998.
4. Ефимова Л. Г.,„Банковские сделки”, Москва,,„Контракт”, „Инфра М”, 2000.
5. Сергеев А. П.,Толстой Ю. К. и коллектив авторов, Гражданское право, учебник, изд. Шестое, Москва изд.,„Проспект” 1997.